ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 17 მარტი, 2022 №54 (8832) ფასი: 60 თეთრი

აკო ჭელიძე: „ნიკო კვარაცხელიას მკვლელობა შეკვეთილი არ ყოფილა

გვ.5

„ხელისუფლებას რატომ არ ესმის, რომ ჩვენი ბედი დღეს უკრაინაში წყდება!“

გია ხუხაშვილი: „რატომ ნიშნავს სანქციებთან მიერთება ავტომატურად ომის დაწყებას?!“

გვ.2

„ხელისუფლება ლამის ზელენსკის ემუქრება, ნაცს ეძახიან, ახლა ზურაბიშვილიც ნაციონალი გახდა. ველოდები, ბაიდენს როდის გამოაცხადებენ ნაციონალად“

„პრეზიდენტი სწორ პოზიციაზეა და მე არ მიჭირს ამის თქმა“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ზურაბიშვილს „ოცნება“ რასაც ედავება, მაგ ბრალდებით ზის ციხეში სააკაშვილი“

„მთავრობა მოქმედებს ისე, როგორც უნდა იმოქმედოს საომარ მდგომარეობაში მყოფმა სახელმწიფომ“

გვ.3

დათო ლორთქიფანიძე: „საპრეზიდენტო ინსტიტუტი დაცლილია იმ უფლებამოსილებებისაგან, რაც სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს არსებობდა“

გვ.4

„წამლის ფასი 50-60%-ით შემცირდება“

ილია ღუდუშაური: „ერთ თვეში ყველა დიდ საავთიაქო ქსელში თურქული მედიკამენტები იქნება ხელმისაწვდომი“

საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს პრემიერ-მინისტრებს შორის სატელეფონო საუბარი შედგა

გვ.2

სამხრეთ კავკასიაში მშვიდობა მყარდება?

რა პროცესები ვითარდება უკრაინაში რუსეთის აგრესიის ფონზე საქართველოს სამეზობლოში

გვ.4

გვ.5

ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის მკვლელობის ფიგურანტი ციხეში მოწამლეს

ISSN 1987-9385

2 ნიკა მელია: „ივანიშვილს რუსეთის სპეცსამსახურებთან ვალდებულებები აქვს“

4 ირაკლი ქადაგიშვილი: „2008 წელს, უცხოელი პრეზიდენტების ჩამოსვლისას, ცეცხლი შეწყვეტილი იყო“

5 მერია სამგორის მეტროსთან გარეშეჭრობას კრძალავს

6 ლავროვი: „უკრაინასთან მოლაპარაკება რთულია, მაგრამ კომპრომისის იმედი არსებობს“

„ხელისუფლებას რატომ არ ესმის, რომ ჩვენი ბედი დღეს უკრაინაში წყდება!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, „ქართული ოცნება“ სერიოზულად უპირისპირდება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს. საკონსტიტუციო სასამართლოსაც კი მიმართეს. მას კონსტიტუციის დარღვევაში ედავებიან. რა უნდა „ოცნებას“, რატომ აქვს ასეთი ისტერია ატეხილი?

– წარმოუდგენელი რაღაცა ხდება. ფაქტობრივად, მათი განაცხადი რას ნიშნავს?! პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებაზე აქვთ პრეტენზია. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ამბობენ რას, პრეზიდენტს არა აქვს უფლება არა თუ სახელმწიფოს სახელით ილაპარაკოს, არამედ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებაც კი არა აქვს, როგორც პრეზიდენტს და როგორც პიროვნებას. ეს აბსოლუტურად აბსურდული დავა. პრეზიდენტს რომ რაიმე დოკუმენტზე ხელი მოეწერა, ან რომელიმე საერთაშორისო ფორუმზე გამოსულიყო საქართველოს სახელით, კიდევ რაღაცა ლოგიკა იქნებოდა.

– მას ჰქონდა პირადი შეხვედრები.

– დიახ, მას ჰქონდა პირადი შეხვედრები და გამოთქვამდა საკუთარ აზრს, პრეზიდენტის ინსტიტუტის აზრს და არ საუბრობდა ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკაზე. ამასაც უკრძალავენ. ეუბნებიან, რომ შენ საერთოდ არა გაქვს უფლება, რომ რაიმე აზრი გამოთქვა. ფაქტობრივად, აქვთ პრეტენზია, რომ პრეზიდენტი მთლიანად იყოს დაქვემდებარებული ხელისუფლებას. პრეზიდენტს, როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუტს, საერთოდ არ აღიარებენ. აი ასეთ აბსურდთან გვაქვს საქმე.

– ანუ მათთან შეთანხმების გარეშე სიტყვის თქმის უფლება არა აქვს?

– მათი აზრით, სიტყვის თქმის უფლებაც არა აქვს. ამ დროს, ჩვენ პრეზიდენტს პირდაპირი წესით ვირჩევთ, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის ხელმძღვანელს. ესენი ეუბნებიან, რომ არა, ეგრე არ არის.

– საბოლოოდ მარგინალურ ძალად ჩამოყალიბდა „ოცნება“ თუ რა ჭირთ?

– აქ ბევრი ვარაუდები შეიძლება იყოს. თუ ეს არის უბრალოდ შიში და მათ ნამდვილად აქციეს მოძალადის წინაშე შიში თავისი პოლიტიკის ქვაკუთხედად ბოლო პერიოდში. ანუ ისინი რას ამბობენ ფაქტიურად? რომ ჩვენ რამე ისეთი არ უნდა გავაკეთოთ, რაც რუსეთს არ მოეწონება. შეიძლება რუსეთი გაღიზიანდეს და ამის გამო დაგვიწყოს ომი. რატომ უნდა დაგვიწყოს ომი, ვერ გავიგე, მაგრამ აი ამ ლოგიკით უნდათ, დღეს თავისი პოზიცია გაამართლონ. რას ნიშნავს ეს?! თუ შენ, ფაქტობრივად, შენი პოლიტიკის დომინანტურ გზავნილად თვლი, რომ არ გააღიზიანო მოძალადე,



„ხელისუფლება ლამის ზელენსკის ემუქრება, ნაცს ეძახიან, ახლა ზურაბიშვილიც ნაციონალი გახდა. ველოდები, ბაიდენს როდის გამოაცხადებენ ნაციონალად“

შესაბამისად, შენ იქცევი ისე, როგორც მას მოსწონს და სწორედ ეს არის მისი მიზანიც. რუსეთის მიზანი არ არის, რომ ჩვენ ის გვიყვარდეს, მისი მიზანია, რომ გვეშინოდეს. ხელისუფლება კი გვეუბნება რომ რუსეთის ეს ამოცანა ჩვენ უნდა შევასრულოთ. ჩვენ უნდა გვეშინოდეს და, შესაბამისად, ყველაფერი უნდა ვაკეთოთ ისე, როგორც იმას მოეწონება. გამოდის, რომ უკვე ოკუპირებული ვართ. რუსეთი გვკარნახობს თამაშის წესებს. მხოლოდ მისი მოსაწონი უნდა ვაკეთოთ. აი ეს არის ხელისუფლების გზავნილი, როდესაც მას ეუბნებიან, რომ შენ, ფაქტიურად პრორუსულ პოლიტიკას ატარებ, ამაზე ძალიან ბრაზდებიან. პრორუსობა მაინცდამაინც იმას კი არ ნიშნავს, რომ შენ რაღაც დოკუმენტებზე გქონდეს ხელი მოწერილი. პრორუსობა ნიშნავს იმას, რომ შენ იქცეოდე ისე, როგორც იმას უნდა. როგორც იმას აწყობს და სხვანაირი ნაბიჯი არ გადადგა, რაც მას არ მოეწონება. ახლა რაც შეეხება ზურაბიშვილის...

– მის დაშინებას შეეცადნენ, რომ აი, თუ ჭკუით არ იქნები, იმპიჩმენტს მოგიწყობთ?

– საერთოდ მოტივი, რა ამოძრავებდათ სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით?! სალომე ზურაბიშვილი როგორც იქცეოდა, ეს მათაც აწყობდათ. მათაც ნამუსს წმენდა საერთაშორისო არენაზე, რომ არც ისე ცუდად არის

გია ხუხაშვილი: „რატომ ნიშნავს სანქციებთან მიერთება ავტომატურად ომის დაწყებას?!“

საქმე. ახლა, ჩანს, რომ ამ ყოვლის მომცველი შიშის კონცეფციიდან გამომდინარე, მათ შეეშინდათ.

– რისი შეეშინდათ, ბატონო გია?

– რაღაც წითელი ხაზები აქვთ დაწესებული რუსეთის მხრიდან, რომ აბა, თქვენ არ გაინძრეთ და აბა, ჭკვიანად იყავით. ახლა შეეშინდათ, რომ სალომე რადგან ასე აქტიურია პროუკრაინული პოზიციიდან გამომდინარე, შეეშინდათ, რომ რუსეთმა ეს არ ჩაუთვალოს რაღაც ორმაგ თამაშში და სარჩელი შეიტანეს იმ ლოგიკით, რომ რუსეთს ახლა უმტკიცებენ, ჩვენ არაფერ შუაში არა ვართ, ეს ქალი გაგიჟდა და რაღაცებს აკეთებს თვითონ. ერთგვარი ალიბი შეიქმნეს რუსეთთან. უბრალოდ, სხვა ლოგიკა, რაციონალური, აქ ვერ დავინახე. არ გამოვრიცხავ, რომ ეს უბრალოდ ბოღმა, სიბრიყვე და სხვა რამეა, მაგრამ თუ ჩვენ გვინდა მაინცდამაინც ლოგიკა დავინახოთ, ლოგიკას ვხედავ მხოლოდ ამ კონსტრუქციაში. არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ თავისთავად დავაც არის აბსურდული. მით უმეტეს, ეს დავა ვერაფრით ვერ დასრულდება. საკონსტიტუციო სასამართლომ რომც გამოიტანოს პოლიტიკური განაჩენი კონსტიტუციის დარღვევასთან დაკავშირებით, იმპიჩმენტისთვის საჭირო ხმები არა აქვს „ქართულ ოცნებას“. იმპიჩმენტი ხომ, საბოლოო ჯამში, პარლამენტის მეშვეობით უნდა განხორციელდეს?! მათ არ ყავთ ის 100 კაცი, რომელიც ამ პროცედურას სჭირდება. შესაბამისად, ეს არის რაღაც ისტერიული ქმედებები და ამიტომ ვხედავ ერთადერთ მიზანს, რომ პუტინს ვიღაცა ეუბნება, იცი რა, მე არაფერ შუაში არა ვარ, ეს ქალი თვითონ რაღაცას ლაპარაკობს.

– უკრაინაში ჩასვლას გეგმავდა ჩუმად სალომე ზურაბიშვილიო.

– ესეც დააბრალეს ფაქტიურად. არსად არ მიდიოდა. ჯერ ეს ერთი, რომც ჩასულიყო, რა დაშავდებოდა?! რა, ღარიბაშვილი არ უნდა ჩასულიყო უკრაინაში?! რატომ არ ესმით, რომ ჩვენი ბედი წყდება დღეს უკრაინაში! ეს ხომ სრულიად აშკარაა! უკრაინა მარტო თავისთვის ხომ არ იბრძვის? ჩვენთვისაც იბრძვის! როგორც კი უკრაინის ამბავს მოამთავრებს რუსეთი, მეორე დღესვე რომ ჩვენსკენ გამოიხედავს, ეს ხომ ცხადია?! შესაბამისად, ეს ქვეყანა ჩვენთვისაც იბრძვის და რა, სოლიდარობის დემონსტრირება არ უნდა მოვახდინოთ?! დიდი ბოდიში, მაგრამ ვინც უსაფრთხოებას აყენებს თავისუფლებაზე მაღლა, ის თავისუფლებასაც კარგავს და უსაფრთხოებასაც საბოლოო ჯამში. ეს ხომ უნივერსალური ფორმულაა, ათასი ისტორიული ფაქტით დადასტურებული?! თუ რისი ილუზია გვაქვს? თუ ჩვენ ბუჩქებში ვისხდებით ჩუმად, რუსეთი მოგვეფერება?! პირიქით, უფრო გემრიელად შეგვახრამუნებს. მერე გამოდიან და ლაპარაკობენ, რომ აი ომი გინდათ? ესა აქვთ მთავარ ლოზუნგად. გიჟები ხომ არა ვართ, ომი რომ გვინდოდეს. ან რატომ ნიშნავს, იგივე სანქციებთან მიერთება, ომის დაწყებას? ვერ გავიგე! რამდენიმე ათეული ქვეყანა შეუერთდა სანქციებს, მაგრამ რუსებს ყველასთან ომი არ დაუწყია. რატომ ნიშნავს სანქციებთან მიერთება ავტომატურად ომის დაწყებას?! ეს ვინმემ ამიხსნას.

– ეს არის მარტო შიშიდან გამომდინარე პოზიცია თუ სხვა რამეც იმალება ამის უკან?

– არ ვიცი. მე შეთქმულების თეორიებს ვერ ავყვები, იმიტომ, რომ შესაძლოა ძალიან მძიმე ბრალდება გამომივიდეს. აქედან გამომდინარე კი ეჭვები ჩნდება და ჩნდება საკმაოდ სერიოზული.

– უკრაინის პრეზიდენტი მოუწოდებს დემოკრატიული ქვეყნების პირველ პირებს, რომ ჩავიდნენ კიევში. ხედავთ იმის შანსს, რომ ღარიბაშვილი კიევში ჩავიდეს?

– პრემიერი ღარიბაშვილი უკრაინაში ჩავიდეს კი არა, იმის გამო, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებები არ მოეწონა, ამის გამო მას გამარჯობა არ უთხრა და არ გამოემშვიდობა. სად ჩამსვლელია, კარგით, რა! სრულიად ცხადია, რომ არსადაც არ ჩავა. ეგ კი არა, ხელისუფლება ლამის ზელენსკის ემუქრება, ნაცს ეძახიან ფაქტობრივად, აი აქამდე მივიდნენ. თურმე ნაციონალური მოძრაობის ლობისტია ისიც და მისი გარემოცვაც. აი ამ აბსურდში ვცხოვრობთ. ახლა სალომე ზურაბიშვილიც ნაციონალი გახდა. ველოდები, ბაიდენს როდის გამოაცხადებენ ნაციონალად. პირდაპირ საგიჟეთში ვართ.

– უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით? ნატოზე უარს ამბობს ზელენსკი. თუმცა თავად ნატომ თქვა უარი უკრაინაზე და აქედან გამომდინარეობს ზელენსკის უარიო. ასე აფასებენ ექსპერტები. რას იტყვით თქვენ? უკრაინის მხრიდან ნატოზე უარის თქმა რამდენად გააჩერებს რუსეთს? არის ამის შანსი?

– რა არის იცით, სამხედრო მანქანა ინერციულია. მე არ მგონია, რომ სამწუხაროდ, მხოლოდ ამითი დაკმაყოფილდეს რუსეთი. კი ბატონო, ეს არის ერთ-ერთი მოთხოვნა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ რუსეთს აქვს ამბიცია, რომ მინიმუმ, უკრაინა, როგორც ქვეყანა, ორ ნაწილად გაყოს. ახლა სად გაივლის საზღვარი, ეს სხვა საკითხია. ფაქტია, რომ უკრაინელი ხალხი თავის არმიასთან ერთად გმირულად იბრძვის იმისათვის, რომ ქვეყნის მთლიანობა შეინარჩუნონ.

– ნაწყენია ზელენსკი ნატოზე?

– წარმოვიდგინოთ, ზელენსკი ახლა რა მდგომარეობაშია. გარკვეულწილად ნაწყენია, მაგრამ მეორე მხრივ, მას უნდა ესმოდეს, რომ ნატოს ჩართვა ამ ომში, ეს უკვე მესამე მსოფლიო ომია და, ბუნებრივია, დღეს სამყარო ამისთვის მზად არ არის.

– თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლოა ეს ომი დასრულდეს უკრაინის ორად გაყოფით? ან ამას დასჯერდება პუტინი?

– სამწუხაროდ, რაღაც კონფიგურაციით ეს მოხდება. რამდენად გრძელვადიანი იქნება ეს გაყოფა, ეს სხვა საკითხია. იმიტომ, რომ რუსეთს უამრავი პრობლემა აქვს. თუმცა, დროებით რომ რაღაც გაყოფა მოხდება, ეს სამწუხარო რეალობაა. იმედია, რომ ეს დროებითი იქნება.

საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს პრემიერ-მინისტრებს შორის სატელეფონო საუბარი შედგა

საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს პრემიერ-მინისტრებს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

ირაკლი ღარიბაშვილმა და მარკ რუტემ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, საქართველოს ევროინტეგრაცია და ორმხრივი ურთიერთობები განიხილეს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ასოცირებული ტრიოს – საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას მიერ ევროკავშირში გაწევრიანებაზე წარდგენილ განაცხადებს და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ევროკომისიის დადებითი გადაწყვეტილება წარდგენილ განაცხადებთან დაკავშირებით, დამატებითი სტიმული იქნება რეფორმების წარმატებით გაგრძელებისთვის და ევროკავშირთან ურთიერთობაში ახალი ეტაპის დასაწყისი გახდება.

პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ამ პროცესში საქართველოს ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერა ექნება.

საუბარი შეეხო უკრაინაში მიმდინარე ომს და შედეგად რეგიონში შექმნილ რთულ უსაფრთხოების გარემოს.

ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სოლიდარობა და პოლიტიკური მხარდაჭერა უკრაინისადმი, მათ შორის მრავალმხრივ ფორმატებში და ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობას ვითარების დეესკალაციისა და ომის, რაც შეიძლება მალე დასრულებისთვის.

პრემიერ-მინისტრებმა ასევე განიხილეს უსაფრთხოების კუთხით საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები, მათ შორის, ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი მდგომარეობა.

მარკ რუტემ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ნიდერლანდების სამეფოს ურყევი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ნიკა მელია: „ივანიშვილს რუსეთის სპეცსამსახურებთან ვალდებულებები აქვს“

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელია ბიძინა ივანიშვილის რუს ოლიგარქებთან კავშირებზე საუბრობს და ამბობს, რომ ის სუვერენული ვერასდროს იქნება.

მელიას თქმით, ოლიგარქი ივანიშვილი, სურვილის შემთხვევაშიც კი, ვერ იქნება თვითმყოფადი მმართველი, რადგან რუსეთის სპეცსამსახურებთან არის ვალდებული.

– თუ რამე მიკვირს, შემდეგი რამ მაკვირვებს: თუკი ვინმეს ჯერ კიდევ გაუკვირდებოდა ბატონი ივანიშვილის ახლო ურთიერთობა, კი, ბატონო, არ დაარქვათ თანამშრომლობა, მაგრამ ძალიან ახლო ურთიერთობა რუს ოლიგარქებთან. იმიტომ, რომ ანატომიურად, დნმ-ის დონეზე, ეს ადამიანი არის ოლიგარქი და, ბუნებრივია, მისი გარემოცვაც არის ოლიგარქიული წრიდან და სად არიან ეს ოლიგარქები? რუსეთში არიან.

მთავარი პარტნიორი ივანიშვილის არის არა მხოლოდ ევტუშენკო, არამედ ბევრი სხვა კიდევ. ბატონი არ და ვერ იქნება სუვერენული, ვერ იქნება თვითმყოფადი პოლიტიკოსი, ვერ იქნება თვითმყოფადი მმართველი, სურვილის შემთხვევაშიც კი, იმიტომ, რომ იგი არის ვალდებული სხვა ქვეყნის, სხვა სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში რუსეთის სპეცსამსახურებთან, – თქვა მელიამ.

ინტერნეტსივრცეში „კიბერკამარას“ სახელით გავრცელდა ბიძინა ივანიშვილისა და ერთ-ერთი რუსი ოლიგარქის სატელეფონო ჩანაწერი, მითითებულია თარიღიც, 2022 წლის 28 თებერვალი.

ოლიგარქი ვლადიმერ ევტუშენკო დაბადების დღეს ულოცავს ბიძინა ივანიშვილს და საქართველოში ჩამოსვლას ჰპირდება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„პრეზიდენტი სწორ პოზიციაზეა და მე არ მიჭირს ამის თქმა“

მურმან დუმბაძე: „ზურაბიშვილს „ოცნება“ რასაც ედავება, მაგ ბრალდებით ზის ციხეში სააკაშვილი“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობა თუ რუსეთისთვის სანქციების დაწესების მომხრეა, ამაზე ღიად ისაუბრონო. რას უპასუხებთ?

– ხელისუფლება არ დგას იქ, სადაც უნდა იდგეს, სადაც დგანან საქართველოს მოქალაქეები. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა უკრაინისა და ცივილიზებული სამყაროს გვერდით დგას. დგას ფიზიკურადაც. ევროპელი ლიდერები, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები, აღმოსავლეთ ევროპის ლიდერები ჩადიან კიევში და ზელენსკის გვერდით დგანან, მაგრამ ამას არ აკეთებს ჩვენი ხელისუფლება.

საქართველოს პრემიერი არათუ არ ჩადის კიევში, ზელენსკის, ამ გაჭირვების ჟამს, სატელეფონო საუბრითაც კი არ ამხნევებს. ეს წარმოუდგენელია მეგობარი სახელმწიფოსგან. ასე რომ მოქცეულიყო 2008 წელს უკრაინა, ჩვენ როგორ მოვიქცეოდით?! ეს იქნებოდა ჩვენთვის მისაღები?! რატომ არ ვიხსენებთ ძალიან ახლო წარსულს?! ეს არ მომხდარა წინა საუკუნეებში. რატომ არის ასე გაჩუმებული მთავრობა. თუ ფიქრობენ, რომ ზელენსკი და უკრაინა ამ ომში დამარცხდება?! როგორც ჩანს, პუტნის დამარცხება ვიღაცებს ვერ წარმოუდგენიათ. უკრაინა გაიმარჯვებს ამ ომში და მერე ალბათ მალევე გადმოხტებიან იმ პოზიციიდან, რომელიც დღეს აქვთ, მაგრამ მერე უკვე გვიან იქნება.

„სლავა უკრაინე!“-ს დღეს საქართველოს ყველა სოფელში იძახის გლეხი და უკრაინის დროშის ფერებში პირბადეებიც უკეთიათ, მაგრამ, როდესაც სახელმწიფოს მეთაური ხარ და ხელისუფლება გქვია, ეს არ არის საკმარისი, მეტია საჭირო.

– მათი არგუმენტია, რომ ევროსაბჭოდან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან რუსეთის ფედერაციის გარიცხვას მხარი დაუჭირეს, რომ რეზოლუცია მიიღო პარლამენტმა.

– სადაც სიტყვა რუსეთი არ არის ნახსენები. ამ რეზოლუციით გაუგებარია, ვინ არის ომის ავტორი. რაც შეეხება რუსეთის გარიცხვისთვის მხარდაჭერას, ეს არ არის საკმარისი, მეტია საჭირო. ღარიბაშვილმა უნდა დაურეკოს ვოლოდიმერ ზელენსკის და უთხრას ის, რასაც მეგობრისგან ელიან ასეთ დროს. რატომ არ ჩადიან კიევში, თუ ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვენიის პრემიერები ჩადიან და მათ არ ეშინიათ, ირაკლი ღარიბაშვილს რატომ ეშინია.

– „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ არ არის ასეთი ვიზიტი გამორიცხული. რომ კონსულტაციები მიმდინარეობს დასავლელ პარტნიორებთანაც.

– ეს უკან მიდევნებული ლამპარი იქნება. თუმცა, ვნახოთ. ჩავლენ?! მე დიდი მოლოდინი არ მაქვს. უამრავი ქართველი რომ იბრძვის უკრაინელების გვერდიგვერდ, ეს კარგია, რადგან ამ ადამიანებმა კარგად იციან, რომ უკრაინის დამარცხება, საქართველოს დამარცხება იქნება და ამიტომ იბრძვიან, მაგრამ ეს ვერა და ვერ შეიგნო ჩვენმა ხელისუფლებამ. ეს ვერ შეიგნო ღარიბაშვილმა.

ეს არ არის ის ხელისუფლება, რომელიც ქართველი ხალხის მოთხოვნების ადეკვატურია. ამ ქვეყნის მოქალაქეების სურვილი დასავლური ინტეგრაციაა, ეს არის მოთხოვნა. ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს ამ მოთხოვნის შესასრულებლად?! როგორც ვხედავთ, არაფერს აკეთებს. პრეზიდენტმა შესთავაზა თუ რა არის გასაკეთებელი ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე და პასუხი რა იყო – უჩივიან საკონსტიტუციო სასამართლოში.

– რატომ, როგორ ფიქრობთ?

– რომ დააშინონ, გააჩუმონ, გააჩერონ. მე სალომე ზურაბიშვილთან ჩემი დამოკიდებულება მაქვს და ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. სალომე ზურაბიშვილი მე არ ამირჩევია, მაგრამ, როდესაც სწორ ნაბიჯს დგამს, ამაზე როგორ ვთქვა, მცდარი ნაბიჯია, რომ დანაშაულია. რასაც ვამბობ, მის იმ წიგნზე, სადაც დაწერა, რომ ომი საქართველომ დაიწყო. გეგონება ქართული ტანკები და ბატალიონი შეიჭრა ირკუტსკში ან ნოვოსიბირსკში. ამის თქმა არათუ მცდარია, დანაშაულია.

დღეს, აქ და ამჟამად, პრეზიდენტი სწორ პოზიციაზეა და მე არ მიჭირს ამის თქმა. სწორია მისი ხედვა უკრაინის საკითხზე რუსეთთან



მიმართებით, და რა უნდა დაადგინოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რატომ იმოგზაურა ევროპაში?! რას გვეუბნებიან, დასავლეთში ჩასვლის გამო დაარღვია კონსტიტუცია პრეზიდენტმა?! დიდი ინტერესით დაველოდები, საკონსტიტუციო სასამართლო რას დაადგენს. შემდეგი სარჩელი შეიძლება ფინანსების არამიზნობრივი ხარჯი იყოს. სხვათა შორის, ამ ბრალდებით ზის ციხეში სააკაშვილი. როგორც ჩანს, ჯერ წინ არის ყველაფერი.

– რატომ, იმპიჩმენტსაც ელოდებით?

– არაფერი არ არის გამორიცხული. მერე ნახეთ თქვენ კარის ჩარაზვა საქართველოსთვის.

„მთავრობა მოქმედებს ისე, როგორც უნდა იმოქმედოს საომარ მდგომარეობაში მყოფმა სახელმწიფომ“

დათო ლორთქიფანიძე: „საპრეზიდენტო ინსტიტუტი დაცლილია იმ უფლებამოსილებებისაგან, რაც სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს არსებობდა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, როგორ აფასებთ პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას და მის მთავრობასთან, პარლამენტთან დაპირისპირებას?

– ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირებას (პირობითად დავარქვათ დაპირისპირება) პოზიტიურად არ ვუყურებ, რადგან პრეზიდენტი ჩვენი პოლიტიკური გუნდის მხარდაჭერილი იყო. დღეს სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი რომ არის, დიდწილად „ქართული ოცნების“ დამსახურებაა. რომ არა „ქართული ოცნების“ ძალისხმევა, ის საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდებოდა. იმედია, ამაში ვერავინ შემომედავება.

არ ვიცი, 14 მარტს, პარლამენტში მისი განცხადებები რა კონტექსტით შეიძლება განიხილო და დაინახო. მით უფრო, ამბობს, რომ დაპირისპირება წარსული დროიდან მოდის. თუ ასე იყო, აქამდე რატომ არ გაცხადდა. ყველაზე კარგ ვარიანტში მაშინვე რატომ არ „აღმოფხვრეს“.

პრეზიდენტს უნდა თავისი ავტორიტეტი და გამოცდილება ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენოს, ამაში თავისთავად ცუდი არაფერია, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ინსტიტუციას, საპარლამენტო რესპუბლიკაში, როცა მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, მთავრობაზეა, პრეზიდენტი სიმბოლური დატვირთვის ფიგურაა, ამ შემთხვევაში მით უფრო გაუგებარია ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის განაწყენებული პოზიცია. ის ნაწყენია და ამის გამო გააკეთა კრიტიკული განცხადებები.

– პრეზიდენტი არის მთავარსარდალი, სიმბოლური როგორ იქნება?

– მთავარსარდალია, მაგრამ დღევანდელი საპრეზიდენტო ინსტიტუტი დაცლილია იმ უფლებამოსილებებისაგან, რაც მანამდე, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს არსებობდა.

– დიახ, ვიცი.

– განხორციელდა საკონსტიტუციო ცვლილება და პრეზიდენტის ინსტიტუტის გამოშიგნა. მიხეილ სააკაშვილი პრემიერმინისტრობისთვის ემზადებოდა და ყველანაირი უფლებამოსილება სხვა ინსტიტუციებზე გადანაწილდა. მაშინ პრეზიდენტი იყო აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი და მთავრობის სხდომებს ატარებდა. დღეს ასე არ არის. როდესაც განაწყენებული ხარ, მინიმუმ, ამის სამართლებრივი საფუძველი უნდა გქონდეს. მერე შეგიძლია ამ საკითხებს სხვა კუთხით მიუდგე.

– იმ სიტუაციაში, როდესაც შიდა და გარე მტრები გააქტიურებული არიან. საქართველოდან პრორუსები ათასგვარ წერილებს აგზავნიან მოსკოვსა და გაეროში, ხელისუფლებაში ასეთი განხეთქილება (პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა ერთიან ხელისუფლებად აღიქმება) ქვეყნისთვის სასარგებლოა?

– განხეთქილებას ვერ დავარქმევ (რაღაც გაურკვევლობაა) მმართველი პოლიტიკური ძალის პოლიტიკური საბჭოს მიმართვას საკონსტიტუციო სასამართლოსადმი, რომ საკონსტიტუციო ინსტიტუტთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთოს, ვის რა უფლებამოსილება გააჩნია, რათა რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს.

– ეჭვი გაჩნდა იმპიჩმენტზე.

– ჩემი ინფორმაციით, იმპიჩმენტზე საუბარი არ არის. უბრალოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გააკეთოს განმარტებები, კონსტიტუციის შესაბამისად, რომელ ინსტიტუციას კონსტიტუციით გაწერილი რა უფლებამოსილებები გააჩნია, რაც, შეიძლება, მოწინააღმდეგეებმა სხვაგვარად გამოიყენონ, მაგრამ ამით ქვეყანა არ იქცევა.

– თქვენი მომხრეები „ოცნების“ პოლიტსაბჭოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვას ემხრობიან?

– არ ვიცი. პარტიის სახელით საუბარი არ შემიძლია. მით უფრო, არ შემიძლია პარტიის სახელით საუბარი. ვერ დავემსგავსები იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც ხალხის 1%-იც არ უჭერს მხარს და ხშირად ხალხის სახელით საუბრობენ. უმჯობესი იყო საქმე აქამდე არ მისულიყო და პოსტფაქტუმ ამაზე საუბარი არ ყოფილიყო. პრეზიდენტი ამბობს, მთავრობას მისწერა და მთავრობამ ოფიციალურად, წერილობით უპასუხა, რომ ამ საკითხში მხარს არ უჭერდნენ. ეს არ არის ურთიერთობის კარგი ფორმა.

ყველა საერთაშორისო ინსტიტუციაში, ორგანიზაციაში, სადაც კი საუბარი იყო რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებულ და განსახორციელებელ სანქციებზე, საქართველოს სახელმწიფო ყოველთვის თანამეგობრობის მხარეს იდგა, ყოველთვის მხარი დაუჭირა, ვინც ეს არ იცის, შეიძლება, ეჭვი გაუჩნდეს, მაგრამ როცა, რეალურად, ქართული სახელმწიფო ევროსაბჭოში, გაეროში, ჰააგის სასამართლოში უკრაინის მხარესაა, რა კითხვის ნიშანი უნდა არსებობდეს?!

– უცხოეთში წასვლით, იქ შეხვედრებითა და ტელეკომპანიებთან ინტერვიუებით რა დავადა, პრეზიდენტის ქმედებაში მიუღებელი რა იყო?

– მინდა სწორად გამიგონ. არავითარ შეთქმულების თეორიას არ ვავითარებ, მაგრამ პოლიტიკაში ხშირ შემთხვევაში საჯაროდ ნათქვამი ის არ არის, რაც ჩანს. ბევრი კულუარული საუბრებია მომრიგებელ მხარეებს შორის. რიგ შემთხვევაში მოვლენების შემდგომი განვითარებისთვის ეს საკითხებიც რჩება კატალიზატორი. ამ შემთხვევაში პრეზიდენტს არ ჰქონდა მთავრობისაგან მინიჭებული უფლებამოსილება, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ესაუბრა.

როდესაც მოქმედი პრეზიდენტი კონსტიტუციის გვერდის ავლით, მთავრობის თანხმობის გარეშე, უფლებამოსილების განსახორციელებლად მიდის, ეს უხერხულობას ქმნის. შემდეგ ამაზე ვინ რა თქვა და რა შეთანხმება იყო, მნიშვნელობა არ აქვს.

როდესაც არანაირი „დავალება“ მთავრობისაგან არ მიგიღია და თვითშემოქმედებას ეწევი, ფორმატს ხარ დაცილებული. ინსტიტუციები იმიტომ არსებობს, რომ ადამიანების სუბიექტური შეხედულებები დააბალანსოს. ჩვენი კონსტიტუციით, პრეზიდენტს მთავრობისაგან თანხმობა სჭირდება. ელჩის დანიშვნაზე ხელს აწერს პრემიერიც და პრეზიდენტიც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, პრეზიდენტი ელჩს ნიშნავს. ის პროცესში სიმბოლურად მონაწილეობს. დოკუმენტურად ფორმდება, რომ ის ელჩს წარადგენს.

– რა აზრი აქვს პრეზიდენტის ამ ხელმოწერას, საერთოდ არ იყოს ეს ხელმოწერა საჭირო, თუ თავისი პოზიციის გამოხატვის უფლება არ აქვს, რატომ შეჰყავთ ელჩის დანიშვნის პროცესში პრეზიდენტი?

– ეს კნინობითი საკითხი არ არის, ბალანსის დაჭერის თემაა.

– ბალანსისთვის თუ პრეზიდენტის აზრი არ უნდა იყოს გათვალისწინებული, მაშინ რისთვისაა მისი ხელმოწერა ან ასეთი ფორმალობები საჭირო?

– პრეზიდენტის აზრი როგორ არ არის გასათვალისწინებელი, მაგრამ პრობლემა აქ მეორეა – თვითონ პრეზიდენტი არ ითვალისწინებს მთავრობის აზრს. მან მიიღო მთავრობის თანხმობის გარეშე წასვლის გადაწყვეტილება.

– კონკრეტულად, შეგიძლიათ გვითხრათ, რაში არ გაითვალისწინა სალომე ზურაბიშვილმა მთავრობის აზრი?

– როგორც თვითონ პრეზიდენტმა განაცხადა, საუბარი იყო ოფიციალური კორესპონდენციით ურთიერთობაზე რაღაც თემებთან და ოფიციალურ ვიზიტებთან დაკავშირებით გერმანიაში, საფრანგეთსა თუ ბელგიაში და მთავრობისაგან ოფიციალური უარი მიიღო. თუ ჟურნალისტებს დააინტერესებთ, წაიკითხავენ, პრეზიდენტი რას ითხოვდა და რაზე უთხრეს უარი, საიდუმლო დოკუმენტი არაა. დარწმუნებული ვარ, უარი არგუმენტირებული იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სალომე აქამდე გაასაჯაროვებდა.

– დაგეგმილი ვიზიტები იყო, თუ შემდეგ მოფიქრებული?

– წინასწარ დაგეგმილი ვიზიტები არ იყო. შექმნილი არაორდინარული სიტუაციის გამო, ვიზიტების დაგეგმა გადაწყვიტა. რა როგორ იყო, წინასწარ განსჯა ძნელია. ოფიციალური ვიზიტით მხოლოდ ერთი ადამიანი კი არ მიფრინავს, არამედ დელეგაცია მიდის (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მინიმუმ ხარჯებთანაა დაკავშირებული), რაც მთავრობას ავალდებულებს, იმოქმედოს, საკმაოდ სენსიტიურ და კრიტიკულ სიტუაციაში, რომელიც დღეს ევროპაშია – რუსეთსა და უკრაინას შორის ომია. ხომ არ შეიძლება ის ინფორმაცია, რაც საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს, პრეზიდენტს ჰქონდეს.

პრეზიდენტი საგარეო საქმეთა სამინისტროს უფროსი არ არის. საგარეო უწყება ვალდებული არ არის პრეზიდენტთან რაღაც თემები შეათანხმოს. ქვეყანაში საშინაო და საგარეო პოლიტიკას საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს, საქართველოს მთავრობა აღასრულებს. აქ პრეზიდენტი ფიგურანტი არ არის. როგორც მან განაცხადა, ამან გარკვეული უსიამოვნება გამოიწვია. ამიტომ მოხდა ის, რაც მოხდა. უმჯობესი იყო, არ მომხდარიყო.

– ბალანსი როგორ უნდა იქნას დაცული თუ პრეზიდენტს არაფერი ეკითხება და ზემოქმედების არანაირი ძალა არ აქვს?

– პრეზიდენტს როგორ არ ეკითხება. პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის კანონპროექტებზე ვეტოს დადება, რაც მას არ გამოუყენებია. ეს უფლება მისთვის არავის წაურთმევია. საომარი მოქმედებების დროს, პრეზიდენტი არის მთავარსარდალი და გადაწყვეტილებებს იღებს.

– პრეზიდენტი უსაფრთხოების საბჭოს მოწვევაზე საუბრობს.

– ეს არ არის პრეზიდენტის უფლებამოსილება. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საპარლამენტო მდივანი იმისთვისაა, რომ ასეთი თემები პრეზიდენტთან გაიაროს.

– ზურაბიშვილის ვიზიტად არ გაშვება, საზოგადოებამ უკრაინის საკითხისადმი პრეზიდენტისა და მთავრობის განსხვავებულ დამოკიდებულებად აღიქვა. პრეზიდენტი პარლამენტის დარბაზში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან ერთად შევიდა. უმრავლესობა განაწყენდა, რატომ არ გაგვაფრთხილაო. რასთან გვაქვს საქმე?

– გაურკვევლობა და უხერხულობა არ უნდა შექმნილიყო. როდესაც პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტი წლიური ანგარიშის გასაკეთებლად, ან განსაკუთრებული მოვლენის დროს მიდის, მას დიდი პატივით ეგებებიან. ეს უშუალოდ პიროვნული დამოკიდებულების გამოხატულება კი არ არის, კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. პარლამენტის მანდატურის უფროსი აცხადებს: „საქართველოს პრეზიდენტი!“ შემდეგ იღება კარი და პრეზიდენტი შემოდის. ეს არის ინსტიტუტისადმი პატივისცემა.

ყურადღება მივაქციე, რომ უკრაინის ელჩის მოადგილე სწორად მოიქცა, როცა პრეზი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„წამლის ფასი 50-60%-ით შემცირდება“

ილია ღუდუშაური: „ერთ თვეში ყველა დიდ სააფთიაქო ქსელში თურქული მედიკამენტები იქნება ხელმისაწვდომი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაური პასუხობს.

– ბატონო ილია, პრემიერ-მინისტრმა წლის დასაწყისში თურქული ბაზრის გახსნა და იაფი მედიკამენტების შემოტანა დააანონსა. ბაზარი მართლაც გაიხსნა და გარკვეული დასახელების მედიკამენტებიც შემოვიდა. საზოგადოების დიდ ნაწილს კი ამაზე ინფორმაცია არ აქვს. რომელ აფთიაქებშია შესაძლებელი თურქული მედიკამენტების შეძენა და რა დასახელების პრეპარატები შემოვიდა? გაგრძელდება კიდევ ეს პროცესი?

– როგორც იცით, იანვრის დასაწყისში გაიხსნა თურქეთის ბაზარი. რა თქმა უნდა, ქართულ ბაზარს და დისტრიბუტორებს რაღაცა პერიოდი სჭირდებოდათ იქაურ მწარმოებლებთან მოლაპარაკებისთვის საწარმოებლად, ხელშეკრულების გასაფორმებლად და იმპორტის განსახორციელებლად. როგორც იცით, ამ ეტაპზე უკვე შემოსულია და იყიდება რამდენიმე ათეული მედიკამენტი. დაახლოებით 50-მდე დასახელების მედიკამენტი, ფარმადეპოს და ავერსის ქსელებში. სხვა ქსელებიც, რამდენადაც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, ახორციელებენ პროცედურებს.

– ინტერესთა კონფლიქტის გამო, ზოგიერთი აფთიაქი ხომ არ დაბლოკავს თურქულ მედიკამენტს?

– ამჟამად რეგულირების სააგენტოში შემოსულია 50 ახალი განაცხადი თურქული მედიკამენტების რეგისტრაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩვენ ჩვენი გათვლებით, დაახლოებით ერთ თვეში წამლების ასორტიმენტი 200 დასახელებამდე გაიზრდება. ყველა დიდ სააფთიაქო ქსელში, თურქული მედიკამენტები იქნება ხელმისაწვდომი.

– ფასებთან დაკავშირებით რას იტყვით?

– რაც შეეხება ფასებს, რა თქმა უნდა, მედიკამენტების მიხედვით არის განსხვავება, მაგრამ საშუალოდ 50-60%-ით უფრო იაფი ღირს და ზოგი მედიკამენტი 80%-იანი ფასდაკლებითაც შეიძლება რომ შეიძინონ.

– ზოგადად ყველამ ვიცით, რომ ხარისხს განსაზღვრავს ფასი. ხომ არ მოხდება ისე, რომ ეს დაბალფასიანი მედიკამენტები, ხარისხითაც დაბალი იქნება?

– საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არსებობს კონკრეტული მოთხოვნები წამლის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ვერ დარეგისტრირდება საქართველოში ვერც ერთი მედიკამენტი, რომელსაც არა აქვს ჯიემპის ხარისხი. ყველა რეგისტრაციის დროს,

რეგულირების სააგენტო ითხოვს ჯიემპის ხარისხის დამადასტურებელ სერთიფიკატს, რომელიც მოწმდება ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენ თურქ კოლეგებთან ერთად, რომ ზუსტია და ნამდვილი. შესაბამისად, წამლის ხარისხის მიმართულებით, არანაირი შეკითხვა არ შეიძლება იყოს იქიდან გამომდინარე, რომ ჯიემპის ხარისხი არის საერთაშორისო სეთიფიკატი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ უხარისხო მედიკამენტი ვერ შემოვა საქართველოში. ამიტომ არანაირი პრობლემა ამ მიმართულებით არ არის.

– ანუ მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენა და პენსიონერები, საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს ამ შეღავათებს?

– კი, აუცილებლად, ასე იქნება. სწორედ, რომ ეს არის მთავარი მიზანი ამ პროექტის.

– ექსპერტთა ერთი ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ დაახლოებით 14 ათასი დასახელების მედიკამენტია დღეს ქართულ ბაზარზე და 100 და თუნდაც 200 დასახელების მედიკამენტის შემოტანა თურქეთიდან, რამდენად შეცვლის სურათს? რამდენად დაეტყობა მოსახლეობის ჯიბეს. არის კიდევ უფრო ფართო სპექტრის მედიკამენტების შემოტანა დაგეგმილი?

– თურქეთის ბაზრის გახსნა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ბაზარი გავხსენით მხოლოდ 200 მედიკამენტისთვის. მთლიანად ყველა მედიკამენტი, რომელიც თურქეთში იწარმოება და ბაზარზე ცირკულირებს, ყველა მედიკამენტი შესაძლებელია, რომ შემოვიდეს საქართველოში. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ რომელი მედიკამენტის იმპორტი განხორციელდეს, ამას არ წყვიტავს სახელმწიფო, ამას წყვეტს კერძო სექტორი. ამ შემთხვევაში, დისტრიბუტორები და შემომტანები. ისინი გადაწყვეტილებებს იღებენ იმის მიხედვით, რამდენად გაყიდვადი პროდუქტია და, შესაბამისად, პირველი 200 მედიკამენტი, რომელიც შემოვიდა და შემოდის, ჩვენ ველოდებით, რომ დაახლოებით ერთ თვეში დაკომპლექტდება. ეს პირველი 200 მედიკამენტი არის ყველაზე მოთხოვნადი და ყველაზე გაყიდვადი მედიკამენტები, რომლებიც ყველაზე მეტად აისახება მომხმარებლის ჯიბეზე.

– შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყინული დაიძრა და ის მონოპოლია, რომელიც აქამდე არსებობდა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე, აღარ იარსებებს?

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. რაღაც ლოჯისტიკური საკითხები, კონტრაქტის გაფორმება, მწარმოებელთან საუბარი, ამ ყველაფერს ვადები სჭირდება. მიმწოდებლები, დისტრიბუტორები, პირველ ეტაპზე მოლაპარაკებას ახორციელებენ იმ წამლებზე, რომელიც პირველადი მოხმარების არის, დიდი რაოდენობით იყიდება და დიდი ეფექტი ექნება ბაზარზე. ეტაპობრივად შემდეგ პერიოდებში, სხვა მედიკამენტებზეც განხორციელდება იმპორტი და ბაზარი ნელ-ნელა შეივსება თურქული მედიკამენტებით. აბსოლუტურად ყველა მედიკამენტი იქნება ხელმისაწვდომი.

– ასევე გავრცელდა ინფორმაცია ელექტრონულ რეცეპტებთან დაკავშირებით, რომ ინერგება ამ ტიპის რეცეპტები. იმედია ეს აღმოფხვრის იმ კომერციულ გარიგებებს, რომელიც ექიმსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის ხდებოდა. საუბარია, რომ ამაზეც აქტიურად მიდის მუშაობა.

– ელექტრონული რეცეპტების პროგრამა უკვე დანერგილია პირველი მარტიდან, სატესტო რეჟიმში მუშაობს. ის მედიკამენტები, რომლებიც აქამდე არაელექტრონული რეცეპტით გამოიწერებოდა, ახლა სავალდებულოა, რომ გამოიწეროს ელექტრონული რეცეპტით. ელექტრონული რეცეპტი გვაძლევს საშუალებას, რომ გარკვეული ანალიტიკა განხორცილდეს და ჩვენ მოგვეცეს საშუალება, გავიგოთ, რომელი მედიკამენტები იწერება ელექტრონულად, რა მოხმარებაა, რა რაოდენობით გამოიწერება და ა.შ. ელექტრონული რეცეპტის დანერგვა არის იმ გრძელვადიანი პროგრამის ნაწილი, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს აქვს შემუშავებული იმისთვის, რომ გრძელვადიან პერიოდში ბაზარი გახდეს გამჭვირვალე, ფასები შემცირდეს, დიდი რაოდენობით მედიკამენტების გამოწერა მიზანმიმართულად არ მოხდეს და ასევე ტრანსფარანტული გახდეს ბაზარი. ამჟამად ელექტრონული რეცეპტების პროგრამა უკვე ჩართულია. შემდეგ ეტაპზე დანერგილია ჯენერიკული მედიკამენტების მითითება ელექტრონულ რეცეპტებში, რომელიც მთლიანობაში შეკრავს ამ პროექტს. ამას ძალიან კარგი ეფექტი ექნება და ნამდვილად აისახება თითოეული მოქალაქის ჯიბეზე.

სამხრეთ კავკასიაში მშვიდობა მყარდება?

რა პროცესები ვითარდება უკრაინაში რუსეთის აგრესიის ფონზე საქართველოს სამეზობლოში

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში რუსეთის აგრესია უფრო სასტიკ ფორმებს იღებს. ჩვენს გარშემო მიმდინარე ბევრი მოვლენა პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება უკრაინას.

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთის მხრიდან მიმდინარე აგრესიული და ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, მთლიანობაში, სამხრეთ კავკასიაში შეიმჩნევა მშვიდობის დამყარების მცდელობა, ასევე დასავლეთის ინტერესი.

ეს იკვეთება ვაშინგტონის გზავნილებში, ასევე სომხეთ-თურქეთის ურთიერთობის მოწესრიგებისკენ მიმართულ მოქმედებებში.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ალიევმა ტელეფონით ისაუბრეს რეგიონული კონფლიქტებსა და მშვიდობის საჭიროებაზე.

– ვესაუბრე აზერბაიჯანის პრეზიდენტს რეგიონში კონფლიქტების მოგვარების აუცილებლობაზე და სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისკენ წინსვლაზე. მადლობა გადავუხადე აზერბაიჯანს უკრაინისთვის გაწეულ დახმარებაზე, – დაწერა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობებში აშკარა გარღვევაა. სომხეთის საგარეო მინისტრი კი თურქეთში იმყოფებოდა. მაღალჩინოსანი ერევნიდან ათწლეულების განმავლობაში პირველად ეწვია თურქეთს. მალე მათ შორის გაიხსნება საზღვარი და აღდგება დიპლომატიური ურთიერთობა.

ამ ვიზიტამდე ორივე სახელმწიფოში დაინიშნნენ სპეცწარმომადგენლები. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ვენასა და მოსკოვში. გადაწყდა, რომ მოლაპარაკებები ერევანსა და ანკარას შორის გაგრძელდება წინაპირობების გარეშე.

– ვეწვიე ანტალიას, რათა კიდევ ერთხელ გამოვხატო სომხეთის მთავრობის ნება, მივაღწიოთ ურთიერთობის სრულ ნორმალიზებას თურქეთთან.. სომხეთის მოსახლეობას სურს ურთიერთობის მოწესრიგება თურქეთთან, – აცხადებს სომხეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი მირზაიანი.

იგი დარწმუნებულია, რომ ერევანსა და ანკარას შორის თანამშრომლობის დამყარებით გაიხსნება „მყარი განვითარების ერა რეგიონში“.

დასავლეთმა მოლდოვას დნესტრისპირეთის კონფლიქტურ რეგიონსაც მიაქცია ყურადღება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის მიერ ოკუპირებულად ცნო დნესტრისპირეთი.

უკრაინის მოსაზღვრე ამ რეგიონში კონფლიქტი გაყინულია. თუმცა, ტირასპოლმა თავი წამოყო მაშინ, როცა მოლდოვამ (ფაქტობრივად, საქართველოსთან ერთად) შეიტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის თაობაზე. დნესტრისპირეთმა მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს, ეღიარებინათ მისი „დამოუკიდებლობა“.

აგრესორი რუსეთი უკვე ოფიციალურად აღარ არის ევროპის საბჭოს წევრი. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ კენჭისყრით მოუწოდა რუსეთს ორგანიზაციიდან გასვლისკენ. რუსეთი ამას ისედაც აპირებდა. მოსკოვი ამით ადამიანის უფლებათა კონვენციასაც გამოეთიშა. გაიზარდა რუსეთის იზოლაცია.

ითვლება, რომ კრემლს პრეტენზია აქვს აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე. ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობა“ მან თებერვალში აღიარა. როგორც ჩანს, რუსეთს აქვს დასავლეთ უკრაინის დაშლის გეგმაც. იქ ცხოვრობენ კარპატელი რუსინები. ისინი (რუსების, უკრაინელების, ბელარუსების მსგავსად) ითვლებიან აღმოსავლეთ სლავებად და საუბრობენ ძველ სლავურთან ძალიან დაახლოებულ ენაზე. კარპატელმა რუსინებმა ამ საომარი მოქმედებების დროს წერილით მიმართეს პუტინს და მოსთხოვეს, დასავლეთი უკრაინის გარდაქმნა „კარპატის რუსად“. სინამდვილეში, მცირერიცხოვანი რუსინები უკრაინაში ეროვნულ უმცირესობადაც არ მიიჩნევიან.

მსოფლიოში ბევრი საუბრობს ნატოს შესაძლებლობასა თუ შეზღუდვებზე უკრაინაში. ნატოს სამშვიდობო მისიის ინიციატივით გამოვიდა პოლონეთის ვიცე-პრემიერი, მმართველი პარტია „კანონი და სამართლიანობა“-ს თავმჯდომარე, იაროსლავ კაჩინსკი. მისი აზრით, უკრაინაში უნდა გაიგზავნოს ნატოს სამშვიდობო მისია.

მისი განმარტებით, ნატოს მისია მშვიდობას, ჰუმანიტარულ დახმარებას მოემსახურება. ამასთან, თავს დაიცავს. „ეს არის ის, რაც მწვავედ სჭირდება უკრაინას, ევროპას და მთელ დემოკრატიულ სამყაროს“.

როგორც ცნობილია, აშშ-მ რამდენიმე დღის წინ თავისი 12 000 სამხედრო გააგზავნა პოლონეთსა და ბალტიის სახელმწიფოებში. ლატვიის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა მათი მუდმივი ყოფნა ამ ზონაში. პოლონეთის პრემიერის თქმით, პოლონეთი ცდილობს ყველაფერი გააკეთოს, რათა ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობა, რაც შეიძლება მეტი იყოს.

ქადაგიშვილი: „2008 წელს, უცხოელი პრეზიდენტების ჩამოსვლისას, ცეცხლი შეწყვეტილი იყო“

„ქართული ოცნების“ დეპუტატი ირაკლი ქადაგიშვილი ამბობს, რომ ახლა უკრაინაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების ჩასვლა „უსაფრთხოების საკითხია“.

ჟურნალისტებთან საუბრისას მან თქვა, რომ 2008 წელს, როდესაც საქართველოში სხვა ქვეყნის პრეზიდენტები ჩამოვიდნენ, ცეცხლი უკვე შეწყვეტილი იყო.

– პირველ რიგში, მე უსაფრთხოების საკითხს დავაყენებდი იმიტომ, რომ როდესაც საქართველოში ჩამოვიდნენ უცხო ქვეყნის პრეზიდენტები 2008 წელს, მაშინ ცეცხლი შეწყვეტილი და უსაფრთხოების ზომები გარანტირებული იყო. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტას ადგილი არ აქვს, უბრალოდ, ლოკალურად ხდება ხოლმე სამშვიდობო კორიდორების გახსნა. ზოგადად, მთელი ეს ტერიტორია, განსაკუთრებით, კიევი და აღმოსავლეთ უკრაინა, საბრძოლო მოქმედების ზონაა, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

2008 წლის 12 აგვისტოს ესტონეთის, ლიტვის, პოლონეთის და უკრაინის პრეზიდენტები და ლატვიის პრემიერ-მინისტრი სოლიდარობის ნიშნად და დედაქალაქზე რუსეთის შეტევის შანსის შესამცირებლად თბილისში ჩამოვიდნენ.

არქივის თანახმად, 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთის საჰაერო ძალები ღამის განმავლობაში დაბომბვას განაგრძობდნენ.

დაიბომბა გორის ცენტრალური მოედანი, კასპისა და ხაშურის სოფლები.

„მთავრობა მოქმედებს ისე, როგორც უნდა იმოქმედოს საომარ მდგომარეობაში მყოფმა სახელმწიფომ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დენტს თავიდან დარბაზში არ შეჰყვა. შეიქმნა უხერხულობა. ის დიპლომატია და ყველაფერი იცის. კასიანოვი გაჩერდა, მაგრამ პრეზიდენტმა სვლა შეაჩერა, მიბრუნდა და თავისთან უხმო. პრეზიდენტია, თან ქალია და როცა უხმო, ისიც შევიდა. უხერხულობა შეიქმნა.

– იმხელა რეაქციები საჭირო არ იყო, არ უნდა შეემჩნიათ. შეიძლება ხელისუფლების შიგნით რაღაც ხდება, მაგრამ ამას არ აჩვენებ. შეიძლება უხერხულობა იყო, მაგრამ ტაში უნდა დაეკრათ, უხერხულობა ავტომატურად უნდა გადაელახათ.

– სიმართლე გითხრათ, მე აქეთ გადავიხრებოდი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩაითვალა, რომ ასე უნდა ერეაგირათ. როგორც იტყვიან, სხვისთვის იოლია. ჩვენ ხომ არ ვიცით, მათ შორის მანამდე, წერილზე უარის გამო, მათი ურთიერთობა რა ფაზაში გადავიდა.

– სალომე ზურაბიშვილმა თავის გამოსვლაში უკრაინასთან დაკავშირებით მიანიშნა, რომ მთავრობა ისე არ მოიქცა, როგორც ჩვენი ისტორია და ღირსება გვკარნახობსო. სალომე ზურაბიშვილისა და მთავრობის პოზიციებში უკრაინასთან დაკავშირებით განსხვავებას ხედავთ?

– მათ პოზიციებს შორის (რომელიც მატერიალიზებულია) განსხვავებას მოქმედებებში ვერ ვხედავ. მთავრობა მოქმედებს ისე, როგორც უნდა იმოქმედოს საომარ მდგომარეობაში მყოფმა სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიები ოკუპირებულია და დედაქალაქიდან 40 კილომეტრში ოკუპანტის ტანკები დგას. ამ სიტუაციაში ხელისუფლება ასე უნდა მოქმედებდეს და ასე მოქმედებს. სალომეს თავისი პოზიცია აქვს და, ეტყობა, ევროპელ ლიდერებს თვითონ გადასცა კერძო ვიზიტების დროს.

– საინტერესოა, სალომე ზურაბიშვილს ევროპაში ვიზიტად წასვლა რატომ არ უნდოდათ?

– არ ვიცი. ალბათ, მთავრობა ამ შემთხვევაში ბევრად მეტ ინფორმაციას ფლობს, ბევრ სენსიტიურ ინფორმაციას ფლობს, რომელიც მეტ სიფრთხილეს საჭიროებს. ინფორმაციები ძალიან სწრაფად განახლებადია. ვფიქრობ, ამის გამო გამოიჩინეს სიფრთხილე პრეზიდენტთან დაკავშირებით. სანამ პრეზიდენტი თანხმობას მიიღებს, აფრინდება და დაფრინდება, სიტუაცია კალეიდოსკოპური სიჩქარით იცვლება უკრაინის პრობლემიდან გამომდინარე. არ ვფიქრობ, რაიმე დასამალი ყოფილიყო.

აკო ჭელიძე: „ნიკო კვარაცხელიას მკვლელობა შეკვეთილი არ ყოფილა“

22 წლის ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულმა აკო ჭელიძემ ბრალდების მხარის მოწმედ სასამართლოში დაკითხვაზე უარი განაცხადა.

აღნიშნულის მიზეზი თავად ბრალდებულის და მისი ადვოკატის, ონისე მარგიანის პოზიცია გახდა, რომლის მიხედვითაც, უფლებადამცველი ითხოვდა, ჭელიძეს ჩვენება თხრობით რეჟიმში მიეცა და მისთვის ბრალდების მხარეს კითხვები არ დაესვა.

ბრალდებულმა ჭელიძემ აღნიშნა, რომ მეორე ბრალდებულს, გიორგი კავილაძეს, უკვე მიცემული აქვს ჩვენება და უკვე მოსმენილი ჩვენების შესახებ საუბარი არ სურს.

– ჩემი ნებაა, თავისუფალ რეჟიმში მესაუბრა და პასუხი არ გამეცა იმ კითხვებზე, რაზეც უკვე პასუხი გაცემულია. თუ ასეა წესი, რომ პასუხი უნდა გავცე პროკურორის კითხვებს, მე უარს ვაცხადებ ჩვენების მიცემაზე. ახალს ბატონ პროკურორს ვერაფერს ვეტყოდი, ბრალი რაზეც მაქვს წარდგენილი, აღიარებული მაქვს და არ მსურს თავიდან ამ თემების გავლა და კითხვა-პასუხის რეჟიმში ყოფნა, – განაცხადა ჭელიძემ.

აღნიშნულს არ დაეთანხმა პროკურორი გია შაიშმელაშვილი.

– ბრალდებული დგება და აცხადებს, ბრალდების მოწმის სახით დაკითხვის დროს ბრალდების მხარეს არ ვუპასუხებ შეკითხვაზე და ჩვენებას მოგცემთ, თუ მათქმევინებთ იმას, რაც

მე მინდაო. ეს ხომ აბსურდია, ამის საშუალებას არ მივცემ. თუ ის ჩვენებას აძლევს, კითხვებზე პასუხი უნდა გამცეს და არა ისაუბროს ის, რაც მას უნდა. თუ მომცემთ ჩვენებას, ისე მომცემთ, როგორც ეს კანონში წერია, – განაცხადა შაიშმელაშვილმა.

აკო ჭელიძის განცხადებით, მკვლელობა შეკვეთილი არ ყოფილა.

– შეკვეთილ მკვლელობაზე საუბარი იყო, ეს ასე არ იყო და ეს აბსურდია. ვაღიარე ბრალი და არ მიცდია სასამართლოსთვის თვალებში ნაცრის შეყრა, არანაირი თანამზრახველი ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულში არ მყოლია. სასამართლომ მოისმინა მეორე ბრალდებულისგან, რაც მოხდა, ამას ვადასტურებ, – განაცხადა ბრალდებულმა.

მან ასევე დააკონკრეტა, რომ მის მიერ თანნაქონ იარაღთან დაკავშირებით ინფორმირებული არ ყოფილა მასთან ერთად ბრალდებული გიორგი კავილაძე.

პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა ბრალდებულს ჰკითხა, თუ საიდან ჰქონდა მას იარაღი, რასთან დაკავშირებითაც ბრალდებულმა განაცხადა, რომ „მას არ სურს პროკურორის შეკითხვებზე პასუხის გაცემა“.

– განცხადება იმიტომ გავაკეთე, რომ ჩემი სათქმელი ამოვწურე, არ მსურს კონკრეტულ კითხვებზე პასუხი, რაზეც უკვე ისაუბრეს, – განაცხადა მკვლელობაში ბრალდებულმა ჭელიძემ.

აღნიშნული პასუხის მოსმენის შემდეგ მოსამართლე დავით მგელიაშვილმა განაცხადა, რომ იარაღთან დაკავშირებით მას ბრალდებულებისგან პასუხი არ მოუსმენია.

– აღნიშნულ საკითხზე პასუხი ჩემთვის განაჩენის გამოტანისას მნიშვნელოვანია, განაცხადა მოსამართლე მგელიაშვილმა, თუმცა, ბრალდებულმა პოზიცია მაინც არ შეცვალა და აღნიშნულ კითხვას არ უპასუხა.

ჭელიძემ რამდენჯერმე დააკონკრეტა, რომ ის პროკურატურის არც ერთ კითხვას პასუხს არ გასცემდა.

ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის მკვლელობის ფიგურანტი ციხეში მოწამლეს

2021 წლის 16 ნოემბერს, ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი ირაკლი მალანია კიევის სასამართლოს ეზოში ჩაცხრილეს. მას 10 ტყვია ესროლეს.

უკრაინელმა სამართალდამცველებმა თავდამსხმელების ვინაობა მალევე დაადგინეს – 32 წლის ნოდარ ნიშნიანიძის და 36 წლის ლაშა სიხარულიძის საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.



მათ უკრაინის ტერიტორიის დატოვება იმავე დღეს მოახერხეს. სამართალდამცველების ხელში აღმოჩნდა საქმის მესამე ფიგურანტი, გიორგი არუთინოვი.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი ხდება, რომ ცოტა ხნის წინ არუთინოვი საკანში გარდაცვლილი ნახეს. ამის შესახებ საუბარია იმ წერილშიც, რომელიც „პრაიმტაიმმა“ ექსკლუზიურად მოიპოვა და რომელსაც ხელს მიმალვაში მყოფი ნოდარ ნიშნიანიძე და ლაშა სიხარულიძე აწერენ.

„ამ წერილს ვწერ ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჯერ კიდევ თავის გონებაში შეუძლია დაინახოს კაცური და არაკაცური“ – მიმართავენ წერილის ავტორები ადრესატებს.

წერილი, სავარაუდოდ, მათთან დაპირისპირებული ჯგუფის მისამართით არის დაწერილი, თუმცა კონკრეტული გვარები დასახელებული არ არის.

„ჩემამდე მოვიდა თბილისური ჭორები, თითქოს მე „პადელნიკი“ დამიჭირეს (არავის სახელს არ ვახსენებ, მაგრამ გამგები გაიგებს). მე ზუსტად ორჯერ მყავდა ეგ კაცი [გიორგი არუთინოვი – ავტ.] ნანახი და აღარც მომიწევდა მაგის ნახვა ცხოვრებაში და ზუსტად ვიცი, არაფერ შუაში იყო. „დაჟე“ ვირტუალურად, როგორც გიდი, ისე გავიცანი და „ძაღლებმა“ თუ რამე დააბრალეს და მაგიტომ მოკლეს...

ზუსტად მაგას ვამბობ, „ძაღლებს“ იმდენი ეძმაკაცეს, სანამ არ „გაძაღლდნენ“. ახლა გაიგოს ყველამ, რა ხალხი არიან ეგენი და მაგათნაირად, მართლა რომ მომეკლა კაცი, მაგას რა მაკადრებინებდა და მერე რა მათქმევინებდა. მე ვერც ვგებულობ, მართლა რა მოუვიდა. ეს ხომ აბსურდია, ამის საშუალებას არ მივცემ. თუ ის ჩვენებას აძლევს, კითხვებზე პასუხი უნდა გამცეს და არა ისაუბროს ის, რაც მას უნდა. თუ მომცემთ ჩვენებას, ისე მომცემთ, როგორც ეს კანონში წერია, – განაცხადა შაიშმელაშვილმა.

ეს ბიჭი, ეს ბიჭი, ეს ბიჭი,

2022, 17 მარტი, №54
სამართალი

პოროშენკო: „პუტინს ეგონა, რომ კიევის თავზე რუსეთის დროშას 36 საათში აღმართავდა“

– პუტინს ეგონა, რომ კიევის თავზე რუსეთის დროშას თავდასხმიდან 36 საათში აღმართავდა. ახლა კი თითქმის 3 კვირაა გასული.

ამის შესახებ უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა.

– ომის მე-20 დღეა. ომის 20 დღის განმავლობაში უკრაინამ არ მისცა საშუალება რუსეთის ჯარებს, კიევში უფრო სიღრმეში შესულიყვნენ. ჩვენ ვიცავთ ფრონტის ხაზს ხარკოვის, ჩერნიგოვის გარშემო, აღმოსავლეთში, დონბასში. ყოველდღიურად უკრაინა იხდის საფასურს უკრაინელი ჯარისკაცების სისხლით, მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლითა და პუტინის საშინელი თავდასხმით გამოწვეული ტონობით სისხლით, – განაცხადა მან.

პოროშენკოს თქმით, პუტინი უკრაინელების მხრიდან ერთიანობასა და წინააღმდეგობას არ ელოდა, ახლა კი მისი მთავარი სამიზნე მშვიდობიანი მოსახლეობაა.

– პუტინმა შეცვალა ტაქტიკა. დღეს მისი ცეცხლის მთავარი მიმართულება არის მშვიდობიანი მოსახლეობა. კიევში 12 საკრუიზო რაკეტიდან თითოეული მიმართულია მშვიდობიანი მოქალაქეებისაკენ. პატარა ბავშვებსა და ქალებზე თავდასხმა მთელი უკრაინის მასშტაბით სრულიად მიუღებელია.

უკრაინის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ჩემი პრეზიდენტობის დროს, 2014 წლიდან შეიქმნა, მსოფლიოს აოცებს. ერთიანობა, რომელიც აჩვენა უკრაინელმა ხალხმა, მსოფლიოს აოცებს. პუტინი ამას არ ელოდა. ის ფიქრობდა, რომ კიევის თავზე რუსეთის დროშას თავდასხმიდან 36 საათში აღმართავდა. ახლა კი თითქმის 3 კვირაა გასული ომის დაწყებიდან და არა 3 დღე, – განაცხადა მან.

პოროშენკოს თქმით, თავდასხმა უკრაინაზე არის თავდასხმა საქართველოზეც. მან ქართველებს გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

– ამ სიტუაციაში მსოფლიო უნდა იყოს უფრო გაერთიანებული. ეს არ არის თავდასხმა მხოლოდ უკრაინაზე, ეს არის ომი თავისუფლების, დემოკრატიის, კოლექტიური დასავლეთის წინააღმდეგ. ეს არის ომი საქართველოს წინააღმდეგაც. თუ ჩვენ დავამარცხებთ პუტინს, თუ ჩვენ გავაჩერებთ პუტინს, ეს ყველასთვის კარგი იქნება.

მე მინდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და მადლობა გადავუხადო ქართველ ხალხს უკრაინის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი დიდი მანიფესტებისთვის. ქართველმა ხალხმა იცის, რას ნიშნავს ეს – რუსი ჯარისკაცები საკუთარ ტერიტორიაზე.

გამარჯვება ჩვენს მხარეს იქნება, რადგან სიმართლე ჩვენს მხარესაა, ღმერთი ჩვენთანაა და მსოფლიოც ჩვენთანაა. პუტინი გიჟი მანიაკია, რომელიც კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულს სჩადის და პუტინის ადგილი გისოსებს მიღმაა იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც მან ჩაიდინა უკრაინასა და საქართველოში, – აცხადებს ის.

ოსტინი: „ჩვენ უკრაინას მხარს ვუჭერთ“

აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, ლოიდ ოსტინმა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს და მის ხელმძღვანელს, იენს სტოლტენბერგს, მადლობა გადაუხადა უკრაინის მიმართ გაწეული მხარდაჭერისა და ერთიანობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ეს ერთიანობა შენარჩუნებული იქნება.

განცხადება ოსტინმა ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრის დაწყებამდე გააკეთა.

– ჩვენი აქ ყოფნა არის გზავნილი მსოფლიოსთვის, რომ ჩვენ ვართ ერთიანი უკრაინის მხარდაჭერაში და ვგმობთ რუსეთის მიერ დაწყებულ გაუმართლებელ შეჭრას უკრაინის ტერიტორიაზე. უკრაინას ჰყავს ლეგიტიმური მთავრობა და ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ უნარს დაიცვან საკუთარი თავი. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ერთიანობა იქნება შენარჩუნებული, – განაცხადა ოსტინმა თავის შესავალ სიტყვაში.

ოკუპანტებმა მარიუპოლში მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს

რუსმა დამპყრობლებმა მარიუპოლში მშვიდობიან მოქალაქეს ცეცხლი გაუხსნეს და მოკლეს. უკრაინის სტრატკომის ინფორმაციით, დანაშაულის ამსახველი კადრები გერმანელმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს.

ზედეეფ ფრონტალის მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოში, რომელიც დრონით არის გადაღებული, ჩანს, რომ შეუიარაღებელი ადამიანი ავტომობილიდან გადმოვიდა და ხელები მაღლა ასწია, თუმცა, ამის მიუხედავად, მას ოკუპანტებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს.

რუსული ძალები ახლა მარიუპოლის საავადმყოფოდან ისვრიან, რაც საფრთხეს უქმნის ჰუმანიტარულ დერეფანს.

ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის ვიცე-პრემიერ ოლგა სტეფანიშინაზე დაყრდნობით სკაი ნიუსი ავრცელებს.

რუსულმა ჯარებმა ქალაქ მარიუპოლში საავადმყოფო დაიკავეს, სადაც 500 ადამიანი მძევლად აიყვანეს.

ცნობისთვის, მარიუპოლში ჩარჩენილი მცხოვრებლები ამ დრომდე გათბობის, ელექტროენერგიის და წყლის გარეშე არიან დარჩენილები.

გასულ კვირას უკრაინის ოფიციალური პირები ვარაუდობდნენ, რომ, სულ მცირე, 200.000 ადამიანს ევაკუაცია სასწრაფოდ ესაჭიროებოდა.

ლავროვი: „უკრაინასთან მოლაპარაკება რთულია, მაგრამ კომპრომისის იმედი არსებობს“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის, განცხადებით, მიმდინარე კონფლიქტი არის მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც მსოფლიო წესრიგს განსაზღვრავს.

როგორც სკაი ნიუსი წერს, ლავროვმა ასევე კომენტარი გააკეთა უკრაინასთან მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებზეც და აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები ადვილი არ არის, მაგრამ კომპრომისის გარკვეული იმედი არსებობს.

მისი თქმით, შეთანხმებების ზოგიერთი ფორმულირება ახლოსაა შეთანხმებასთან.

„გარდიანის“ ცნობით კი, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ისიც აღნიშნა, რომ რუსეთი ვერ ხედავს იმის ნიშანს, რომ შეერთებული შტატები მიმდინარე კონფლიქტის მოგვარებითაა დაინტერესებული.

შეგახსენებთ, 15 მარტს უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების პოზიციები ახლა „უფრო რეალისტურად გამოიყურება“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქობულეთთან ავარიაში დაიღუპა აჭარის განათლების სამსახურის პრესსამსახურის უფროსი

დაშავდა განათლების მინისტრი

15 მარტს, საღამოს, ავტოავარია მოხდა ქობულეთის შემოვლით გზაზე.

„ბათუმელების“ ინფორმაციით, ერთ-ერთ მანქანაში იმყოფებოდნენ აჭარის განათლების მინისტრი მაია ხაჯიშვილი და სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი თეა ვადაჭკორია.

ავარიის შედეგად თეა ვადაჭკორია დაიღუპა. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარის განათლების პრესსამსახურში.

ავარიის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა, მათ შორის, აჭარის განათლების მინისტრი. დაშავებულები კლინიკაში გადაიყვანეს.

„ბათუმელების“ ინფორმაციით, დაწყებულია გამოძიება.

– პაციენტების მდგომარეობა სტაბილურია, – უთხრეს „ბათუმელებს“ ბათუმის სამედიცინო კლინიკაში, სადაც ავარიის შედეგად დაშავებული 3 ადამიანი მოათავსეს.

მინისტრი მაია ხაჯიშვილი „მედცენტრშია“ მოთავსებული. კლინიკაში თქვეს, რომ მას საშუალო სიმძიმის დაზიანებები აღენიშნება.

რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება განათლების სამინისტროს მძღოლი, რომელიც ავტომანქანას მართავდა. კლინიკა ბაუში აღნიშნეს, რომ დაშავებულს დაზიანებები აქვს, თუმცა ის კონტაქტურია.

ავარიის შედეგად კიდევ ერთი კაცი დაშავდა, რომელიც სხვა ავტომანქანაში იჯდა. მას ხერხემლის მეხუთე მალა აქვს დაზიანებული და ის „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ მოათავსეს.

კლინიკის პრესცენტრის ინფორმაციით, დაშავებულის მდგომარეობა სტაბილურია.

საგარეჯო-უდაბნო-დავითგარეჯის გზაზე შეზღუდვებია

საგარეჯო-უდაბნო-დავითგარეჯის მონასტრის საავტომობილო გზის კმ20-კმ34 მონაკვეთზე დაშვებულია მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის გადაადგილება.

ამის შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ქარბუქის და ნამქერების გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგარეჯო-უდაბნო დავითგარეჯის მონასტრის საავტომობილო გზის კმ20-კმ34 მონაკვეთზე დასაშვებია მხოლოდ მაღალი გამავლობის (ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე) ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოუწოდებს მოსახლეობას, იმოძრაონ ზამთრის პერიოდისათვის შესაბამისი საბურავებით, გამართული ავტოტრანსპორტით და დაემორჩილონ საავტომობილო გზებზე დაწესებულ რეჟიმებს“ – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

სპორტი

ფრეების ტური

გაგრა-თელავი 2:2

თბილისი. დინამო არენა

1:0 შონია (7), 1:1 მარაქველიძე (10), 1:2 კვერნაძე (43), 2:2 ხოსიტაშვილი (65პ)

მე-10 წუთზე გოშთელიანმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

გაგრა: ქურდაძე, ხოსიტაშვილი, ჭანტურია, ნოზაძე, შონია, სულთანიშვილი (ოლხოვი 88), ჩოგაძე (ვეკუა 62), ქობულაძე, შეწირული (ბუხაიძე 57), ვაწაძე, კვირკვია (კვირკვია 57)

თელავი: სანიკიძე, ც.კაპანაძე, მარაქველიძე, ზ.თევზაძე, ქანთარია (ღაღანიძე 71), აშორტია (ფირანაშვილი 71), გოშთელიანი, ქოჩლაძე (მახარობლიძე 46), კვერნაძე (მუჯირი 84), ფაცაცია (ბაჩიაშვილი 90), თოლორდავა

ეროვნული ლიგის 3 ტურში ფრე არ იყო ნათამაშები და მეოთხე ტურში, ყველა ფრედ დასრულდა. თუმცა, ტურიც ნაკლული იყო – 2 მატჩი გადაიდო.

ამჯერად ფრე დინამო არენაზე გაგრამ და თელავმა ითამაშეს – 2:2.

გაგრამ სწრაფი გოლი გაიტანა – გამოცდილმა თეიმურაზ შონიამ დაწინაურა თავისიანები. თუმცა, ტაიმი თელავმა მოიგო: ჯერ ფირუზ მარაქველიძემ დაამატა ბექა ქურდაძის პენალტიდან მოგერიებულ ბურთს, მერე კი, გიორგი კვერნაძემ გაიტანა.

მე-2 ტაიმში ერთადერთი გოლი გავიდა: გაგრას კაპიტანმა ვასილ ხოსიტაშვილმა პენალტი გამოიყენა და 2:2.

4 ტურის შემდეგ ორივეს 7-7 ქულა აქვს, მაგრამ ამ დროისთვის კახური გუნდი პოტენციური ლიდერია – ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	4	2	1	1	10-4	7
2.თელავი	3	2	1	0	5-2	7
3.გაგრა	4	2	1	1	6-4	7
4.საბურთალო	4	2	1	1	6-4	7
5.დინამო (თბ)	3	2	0	1	5-3	6
6.დილა	3	2	0	1	4-3	6
7.სამგურალი	3	1	1	1	5-4	4
8.ტორპედო	3	1	0	2	1-6	3
9.სიონი	4	0	1	3	1-8	1
10.ლოკომოტივი	3	0	0	3	1-6	0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბენფიკა და ატლეტიკო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტებს შეუერთდნენ

აიაქსი-ბენფიკა 0:1

ამსტერდამი. იოჰან კრუიფ არენა

0:1 ნუნიესი (77)

აიაქსი: ონანა; მაზრაუი, ტიმბერი (კუდუსი 90), მარტინესი, ბლინდი; ალვარესი (ბრობი 82), ბერგუისი (კლაასენი 82), გრავენბერხი; ანტონი, ალე, ტადიჩი

ბენფიკა: ვლახოდიმოსი; ჟილბერტო (ლაზარო 90), ოტამენდი, ვერტონგენი, გრიმალდო; ევერტონი (იარემჩუკი 72), ვაიგლი, ტაარაბტი; სილვა, ნუნიესი (გონსალვეში 81), რამოსი (ბერნარდო 90)

ვერ გაამართლა აიაქსმა ფავორიტის სტატუსი. ნიდერლანდელები უსუსურად გამოიყურებოდნენ ბენფიკას წინააღმდეგ და ლოგიკური მარცხიც განიცადეს. ეს არ იყო ის აიაქსი, რომელსაც მივეჩვიეთ და გვსიამოვნებს. ვერც ნიდერლანდური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ერიკ ტენ ჰაგმა მოუგო დუელი ვიზავის.

აიაქსი უშედეგოდ ცდილობდა, პორტუგალიური გუნდის დაცვის გასაღები მოეძებნა. ბენფიკა თავს კარგად იცავდა, მეტოქეს ბურთიც დაუთმო და კონტრშეტევების იმედად იყო. გაუმართლა კიდეც – ბენფიკამ ერთ-ერთი სტანდარტი გოლად აქცია. ეს კი, მეოთხედფინალში გასვლისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – იან ვერტოგენი

ბელგიელი მცველი გაუვალი კედელივით იდგა. ამსტერდამელები საჯარიმოში არ გაახარა, ხოლო მის გარეთ აიაქსი უმოქმედო იყო.

მანჩესტერი-ატლეტიკო 0:1

მანჩესტერი. ოლდ ტრაფორდი

0:1 ლოდი (41)

მანჩესტერი: დე ხეა; დალო, ვარანი, მაგუაირი (მატა 84), ტელეში; მაკტომინეი (მატიჩი 67), ფრედი (კავანი 75); სანჩო, ბრუნო ფერნანდეში (პოგბა 67), ელანგა (რაშფორდი 67); რონალდუ

ატლეტიკო: ობლაკი; ლორენტე, ხიმენესი, სავიჩი, მანდავა, რენან ლოდი; დე პაული, ერერა, კოკე (კონდოგბია 80); ჟოაო ფელიქსი (ფელიპე 90), გრიზმანი (კორეა 90)

ვერც მანჩესტერმა მოუხერხა ვერაფერი ატლეტიკოს დაცვას. მადრიდული კლუბი საკუთარ თავში დარწმუნებული გავიდა მოედანზე და მეოთხედფინალში გასვლა დაიმსახურა.

ბენფიკას მსგავსად, ატლეტიკომაც დაცვაზე გააკეთა აქცენტი და კონტრშეტევაზე სწრაფად გადადიოდა. პორტუგალიელებისგან განსხვავებით, ატლეტიკომ 2 გოლი გაიტანა, მაგრამ მხოლოდ 1 ჩაუთვალეს და ზუსტად იგივე ანგარიშით მოიგო.

ატლეტიკომ გოლი შესვენებამდე გაიტანა. 15 წუთი მანჩესტერის მწვრთნელისთვის საკმარისი არ გამოდგა, რომ თამაშის მიმდინარეობაში რამე შეეცვალა. დიეგო სიმეონეს გუნდს „ავტობუსის ჩაყენების“ ამბავი კარგად გამოსდის და ვერც მანჩესტერელებმა მიაგნეს იან ობლაკის კარის გასაღებს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – იან ობლაკი

სლოვენიელ მეკარეს დიდი სამუშაო ნამდვილად არ ჰქონია. თუმცა, რამდენიმე ეპიზოდში დამაჯერებლად ითამაშა, ერთ შემთხვევაში კი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

რალფ რანგნიკი:

– პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მე-2 ტაიმში რიტმში თამაში გაგვიჭირდა. სამწუხაროდ, ფეხბურთელებმა თავიანთი შანსები ვერ გამოიყენეს, გვქონდა მომენტები, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ვიცოდით, რომ ისინი თავს ძალიან კარგად იცავენ. შესვენების შემდეგ 1-2 მომენტი გვქონდა, მაგრამ მეკარემ ბრწყინვალედ ითამაშა. კარგად ვიცოდით, რომ პირველი გოლის გატანას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დიეგო სიმეონე:

– ამ გამარჯვების უკან დიდი შრომა დგას. ვითამაშეთ ის თამაში, რაც გვინდოდა და მეტოქეს არ მივეცით იმის გაკეთების უფლება, რაც მათ სურდათ. გუნდი კარგად მუშაობდა და ცოტა სივრცეები დატოვა. ახლა ლა ლიგაზე ვიფიქრებთ და მერე ვნახოთ. ჩემპიონთა ლიგაზე ბევრი გუნდია, რომლებიც ბოლომდე არ დანებდებიან.

შედეგები

15 მარტი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

აიაქსი-ბენფიკა	0:1
მანჩესტერი-ატლეტიკო	0:1

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნსლი-ბრისტოლი	2:0
ბირმინგემი-მიდლსბრო	0:2
ბლექბერნი-დერბი	3:1
ბორნმუთი-რედინგი	1:1
ვესტ ბრომვიჩი-ფულემი	1:0

იტალია. სერია ბ

ბრეშა-ბენევენტო	2:2
ვიჩენცა-პარმა	0:1
კოზენცა-ლეჩე	2:2
კომო-ტერნანა	1:1
კროტონე-ფროზინონე	2:0
ჩიტადელა-რეჯინა	0:0
ალესანდრია-მონცა	0:3

საფრანგეთი. ლიგა 2

ვალანსიენი-კაენი	1:1
დიჟონი-ლე ავრი	2:0
კევიი-აიაჩო	0:0
ნანსი-პარიზი	3:0
ნიმი-ოსერი	1:2
ნიორი-სოშო	1:1
პო-გრენობლი	0:1
როდეზი-გენგამი	1:1
ბასტია-დიუნკერკი	1:0
ტულუზა-ამიენი	6:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

დავით ხოჭოლავა: „დიდება უკრაინას! რუსული ჭირი კონტინენტიდან უნდა მოვიშოროთ“

საქართველოს ნაკრებისა და კოპენჰაგენის ფეხბურთელს, დავით ხოჭოლავას უკრაინელი მეუღლე ჰყავს. თავად ხოჭოლავაც უკრაინაში დიდხანს თამაშობდა და მხოლოდ ამ სეზონის წინ გადავიდა კოპენჰაგენში.

უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე იმსხვერპლა ხოჭოლავას მეუღლის მამა. თავად ხოჭოლავამ საკმაოდ აგრესიულად ისაუბრა ომზე, სადაც ოჯახის ახლობელი დაკარგა. ინტერვიუ სკანდინავიური კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– უკრაინაში ომია, რა ხდება თქვენს ოჯახში, თავს როგორ გრძნობთ?

– არ აქვს მნიშვნელობა, თავს როგორ ვგრძნობ. ახლა მეუღლეს, ბავშვის ძიძას, მამაჩემს, ყველას, ვინც აქ არის, ჩემი დახმარება ესაჭიროება. ეს მეხმარება, რომ ვიყო ცივსისხლიანი და რაც შეიძლება მეტი პრობლემა მოვაგვარო. თუმცა, სიტუაცია ყოველდღიურად უარესდება. ჩემი მეუღლის ქალაქი თითქმის მთლიანად დანგრეულია. როცა აქ ვზივარ და ვსაუბრობთ, უამრავი უდანაშაულო ადამიანი იღუპება. ვცდილობ, გადავარჩინო ჩემი ოჯახი, ეს არის ჩემი მთავარი მიზანი. ის, რაც ჩემმა ნათესავებმა და მეგობრებმა ბოლო კვირის განმავლობაში გადაიტანეს, საშინელებაა. თავს სარდაფებს აფარებენ, შიშობენ, რომ ხვალინდელი დღე არ გაუთენდებათ. მუდმივად შიშში ცხოვრობენ. ბომბები ეცემა ყველგან. უნდა გავუძლოთ, რადგან უკრაინა გაიმარჯვებს. რუსეთი უკვე დამარცხებულია. უკრაინა ადამიანებს კარგავს, მაგრამ უკრაინელები გმირები არიან. ეს ქვეყანა თავიდან აშენდება და ამაში მთელი მსოფლიო დაეხმარება. ომის შემდეგ უკრაინა უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ომამდე. რუსეთმა ყველასთან წააგო, ის არავის უნდა.

– თქვენ საქართველოდან ხართ, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ უკრაინა მეორე სამშობლოა, მეუღლე უკრაინელია, იქ ძალიან ბევრი მეგობარი და ნათესავი გყავთ.

– მამაჩემი სანახევროდ უკრაინელია, ჩემი მეუღლე უკრაინელია, ჩემი შვილი უკრაინაში დაიბადა. 8 წელიწადია, უკვე უკრაინაში ვცხოვრობ, თითქმის მთელი დრო, რაც სრულწლოვანი ვარ. ახლა 40 მილიონი უკრაინელი ერთიანია. ეს ყველაფერი ვიცი, როგორც დასრულდება – უკრაინა გაიმარჯვებს! ის გაიმარჯვებს ევროპისა და მსოფლიოს მხარდაჭერით, მაგრამ ეს საშინელება ჯერ კიდევ გრძელდება და მშვიდობიან მოქალაქეებს ვკარგავთ.

– დანიაში, როდესაც უკრაინის კადრებს ვუყურებთ, რომლის წარმოდგენაც კი გვიჭირს, ჩნდება კითხვა, როგორ უნდა დავეხმაროთ?

– პირველ რიგში, ფინანსურად, რადგან მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა, მათ ეს სიჩქარეში მოუწია, ზოგს თან არაფერი აქვს, არ აქვთ ადგილი, სადაც შეუძლიათ თავი შეაფაროონ, არ აქვთ საკვები. ჩემი აზრით, ჩვენი და მთელი ევროპის მისიაა დავეხმაროთ დევნილებს. დავეხმაროთ, რითაც შეგვიძლია, თუნდაც სათამაშოებით ბავშვებისთვის, რომლებიც ბომბების შიშით სარდაფებში ცხოვრობენ. იქ, სადაც თითქმის შეუძლებელია ცხოვრება.

– უკრაინას მთელი მსოფლიო უჭერს მხარს და ეხმარება.

– ეს მართლაც საოცარია. ძალიან ბევრი მეგობარი ეხმარება – ვის, რითაც შეუძლია. ყველა ერთის წინააღმდეგაა, მთელი კონტინენტი არის იმ კაცის წინააღმდეგი, რომელმაც უკრაინის დაპყრობა გადაწყვიტა. ხალხი სახლებს, ქალაქებს კარგავს, მათ ოკუპანტები უტევენ. ეს ხალხი იმსახურებს ჩვენს დახმარებას. ეს ჩვენი, ადამიანების მოვალეობაა.

– კოპენჰაგენი უკრაინის დროშით გავიდა მოედანზე, ფანები კი თქვენს სახელს სკანდირებდნენ.

– ძალიან ემოციური იყო, მაგრამ საქმე ის არაა, რომ ფანები ჩემს სახელს სკანდირებდნენ, მთავარი ის 40 მილიონი ადამიანია, ვინც ახლა იბრძვის ქვეყნის დასაცავად. ეს მესიჯი მათთვისაა.

– კლუბი ინიციატივით გამოვიდა, რომ უკრაინელი ბავშვებისთვის დახმარება შეაგროვოს, რომ ამან ცოტა შვება აგრძნობინოს მათ.

– ასეც იქნება. ყველაფერს აქვს აზრი, ყოველ დახმარებას. როგორც ვთქვი, 40 მილიონი ადამიანი დიდი საფრთხის წინაშეა.

– რას ფიქრობთ, კიდევ რითი შეუძლია ხალხს უკრაინის დახმარება?

– მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ჩემი, ჩემი ოჯახის მხარდაჭერისთვის. ასეთ რთულ სიტუაციებში მცირე ჟესტებსაც კი შეუძლია დიდი გავლების მოხდენა. გთხოვთ ყველას, დაეხმარეთ ამ ხალხს. შესაძლოა, მომავალში ეს ხალხი დაგვეხმარება ჩვენ. მთელი უკრაინა, პრეზიდენტიდან დაწყებული, ნებისმიერი მოქალაქის ჩათვლით, ერთიანია.

მინდა, უკრაინის პრეზიდენტს, მთელ უკრაინელ ხალხს ჩემი ქვეყნის მთავრობის გამო ბოდიში მოვუხადო. მათ უარი თქვეს, ქართველი მოხალისეების თვითმფრინავი უკრაინაში გაეშვათ. მთავრობამ, ასევე, უარი თქვა რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს მხარი დაუჭიროს. ვალდებული ვარ, ბოდიში მოვიხადო, რადგან უკრაინას ჩვენ ვჭირდებით. უკრაინას ახლა მთელი მსოფლიოს მხარდაჭერა სჭირდება. ნამდვილად მრცხვენია ჩემი მთავრობის გამო. წარმოუდგენელია, მოხალისეების არ გაშვება უკრაინაში ოკუპანტებთან საბრძოლველად, მაშინ, როცა თავად ჩემი სამშობლოს ნაწილი არის ოკუპირებული რუსეთის მიერ. 2008 წელს რუსეთმა საქართველოს 20%-ის ოკუპაცია მოახდინა. მაშინ 16 წლის ვიყავი, ვხედავდი, როგორ დაფრინავდნენ რუსული თვითმფრინავები, რომელთაც ჩემი სამშობლო დაბომბეს. 2014-ში ამ ქვეყანამ დონეცკის, ლუგანსკის და ყირიმის ოკუპაციაც მოახდინა და ახლა კი ყველა ხედავს, რასაც აკეთებს უკრაინაში. მთელ მსოფლიოს სჭირდება, რომ მოვიშოროთ ეს დიქტატორი, რომელმაც ჩემი სამშობლოს 20% წამართვა და ახლა ჩემი ოჯახისა და ჩემი მეუღლის ქვეყნის დაპყრობა სურს.

ჩემთვის ამ ინტერვიუს მთავარი აზრი ისაა, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანთან მივიდეს ინფორმაცია, რომ მთელმა მსოფლიომ გაიგოს სიმართლე, რადგან ვიცი, რომ არის ხალხი, ვისაც სჯერა, რომ რუსეთს ოკუპაცია არ დაუწყია და უკრაინელი ხალხის გათავისუფლება სურს. ჩემი სურვილია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს, რა ხდება სინამდვილეში. როგორმე უნდა მოვიცილოთ ეს ჭირი კონტინენტიდან. რა თქმა უნდა, იქნებ ჩემმა მესიჯმა კიდევ უფრო მეტ ადამიანს გაუჩინოს სურვილი, დაეხმაროს ხალხს. იმედია, მსოფლიოს დახმარებით ყველაფერი კარგად დასრულდება.

მსურს ინტერვიუ 2 სიტყვით დავასრულო – დიდება უკრაინას!

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოხსვოხდი ბ



შვეულად: 1. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 2. საესტრადო სიმღერების შემსრულებელი ქართული დუეტი; 3. საერთაშორისო განაჩენის გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 7. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 12. მოძრავი კიბე; 14. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო სივრცე; 15. ქსოვილების დამზადების ოსტატი; 17. რაიმეს დამადასტურებელი დოკუმენტი; 20. ქიმიური ელემენტი, უფერო, უსუნო აირი.

თარაზულად: 5. რაიმეს გაგების, შესწავლის სურვილი; 6. ქალის სასიმღერო ხმა; 8. ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მისული კომპანიების, ბანკების გადარჩენა; 10. შეძენილი ჭკუასუსტობა; 11. მოგონილი, შეთხზული რამ; 13. ტროპიკული ხილი; 16. მოკლელულიანი შაშხანა; 18. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 19. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 21. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი; 22. თურქეთის პრეზიდენტი; 23. სარეკლამო პლაკატი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კრახუნა; 2. ბოკაჩო; 3. ხონთქარი; 4. ბიპოლიდი; 7. ტარანტინო; 8. ჰოლდინგი; 12. ხაჭაპური; 14. ბალატონი; 16. პორტერი; 17. ჟურნალი; 19. დუდა; 20. ვონი.

თარაზულად: 5. არლეკინო; 6. აკორდეონი; 9. ნუტრია; 10. ჩარექა; 11. ალაფი; 13. ვალსი; 15. ჩანახი; 18. მონჟი; 21. ჩოხატაური; 22. ევკომია; 23. დარბაზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სუფლიორი; 2. ნაღმი; 3. იმბეცილი; 4. ჰენესი; 7. შნეკი; 9. ბელგა; 12. ბრიჯსტოუნი; 14. ქორალი; 15. მეეზოვე; 17. გუანაკო; 20. ოხორი.

თარაზულად: 5. კუროსავა; 6. დემბელე; 8. სამსუნი; 10. მოკასინი; 11. ბრუნეი; 13. კაიზერი; 16. ბარიტონი; 18. კურსი; 19. გესლი; 21. სხალთა; 22. ავადჰარა; 23. ტოსკანა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2274

ევრო — 3.5485

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2150

100 რუსული რუბლი — 3.2069

ამინდის პროგნოზი 17 მარტისათვის

ხავი: „გალათასარაის დამარცხება შეგვიძლია“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა განაცხადა, რომ მის გუნდს შეუძლია გალათასარაის დამარცხება და ევროპის ლიგის მეოთხედფინალში გასვლა.

ამისთვის საჭიროა, რომ ბარსელონამ თავისი საუკეთესო თამაში აჩვენოს:

– ვიცი, რომ რთული მატჩი გველის, მაგრამ ამისთვის მზად ვართ. თუ ჩვენ შევძლებთ საუკეთესო თამაშის ჩვენებას, მაშინ წინ ვერაფერი დაგვიდგება.

პოგბა მანჩესტერში დარჩენას არ აპირებს

პოლ პოგბა მანჩესტერ იუნაიტედში დარჩენას არ აპირებს, რადგან მას არ აწყობს ის პირობები, რომელთაც გუნდი პოგბას სთავაზობს.

შეგახსენებთ, რომ პოლის კონტრაქტი წლევანდელ ზაფხულში იწურება და მას ჯერჯერობით ახლის გაფორმება არ უცდია, მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს, პოგბას წასვლა არ დაუშვას.

დიდი ალბათობით, პოლი კარიერას პსჟ-ში გააგრძელებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

თანამშრომელი ხელმძღვანელს მიმართავს:

– ბატონო დირექტორო, სამსახურიდან ადრე მინდა წასვლა, სიდედრის გასვენებაზე.

– მეც...

•••

ავტობუსში პიკის საათის დროს მამაკაცი მის წინ მდგომ ქალს ეუბნება:

– ჩადიხართ.

– არა.

– კი არ გეკითხებით, გაფრთხილებთ.

•••

მამაკაცი მდივანს ეუბნება:

– თქვენი ხელმძღვანელის ნახვა მინდა.

– სამწუხაროდ, შეუძლებელია, ადგილზე არ არის.

– როგორ თუ არ არის? ორი წუთის წინ მისი კაბინეტის ფანჯარაში დავინახე!

– იმანაც დაგინახათ...

•••

მამაკაცი ექიმს ურეკავს და ეუბნება:

– ექიმო, სასწრაფოდ უნდა მოხვიდეთ, ჩემს ცოლს ბრმა ნაწლავის შეტევა აქვს!

– დამშვიდდით, ნუ ნერვიულობთ, თქვენს ცოლს ბრმა ნაწლავი ორი წლის წინ ამოვკვეთე. ასე რომ, ადამიანს ორი ბრმა ნაწლავი არ შეიძლება ჰქონდეს.

– მართალია, ექიმო, მაგრამ, ხომ შეიძლება, კაცმა მეორე ცოლი მოიყვანოს?

•••

საოპერაციოში ანესთეზიოლოგი პაციენტისკენ დაიხარა, რათა ნარკოზის ნიღაბი გაუკეთოს სახეზე. მამაკაცს სუნი ეცა და ეუბნება:

– შენ ხომ მთვრალი ხარ!

– მთვრალი ვარ? ჰო, ძვირფასო! და შენ ქირურგი უნდა ნახო!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ია ფარულავა „ფორმულაზე“ გადავიდა

მსახიობმა ია ფარულავამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ დატოვა და ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომელი გახდა.

ინფორმაცია ამის შესახებ „ფარული კონვერტის“ წამყვანმა ინტერნეტით გაავრცელა:

– დღეიდან მე გავხდი ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომელი. დანარჩენი ნიკა არაბიძესთან 17 მარტს.

გიორგი კეკელიძემ ლესია უკრაინკას სახელობის სტიპენდია დააარსა

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ „გურული დღიურების“ ფონდის ეგიდით კიდევ ერთი სტიპენდია – ლესია უკრაინკას სახელობის სტიპენდია დააარსა:

– „გურული დღიურების ფონდს“ აქამდე სამი მიმართულების სტიპენდია ჰქონდა – ზოგადი, დათა პაპას სახელობის და ანწუხელიძის სახელობის.

დღეიდან გვექნება კიდევ ერთი – ლესია უკრაინკას სახელობის და მას ეთნიკურად არაქართველ ჩვენს მოქალაქეებს გადავცემთ. პირველი, სიმბოლურად, უკრაინელი მოსწავლე იქნება.

დუტა სხირტლაძე და მანიკა ასათიანი ახალ შოუს წაიყვანენ



მსახიობი დუტა სხირტლაძე და მოდელი მანიკა ასათიანი ტელეკომპანია „იმედზე“ ახალ მუსიკალურ გადაცემას წაიყვანენ.

„მიმღერე“ – ასე ეწოდება გადაცემას, რომელშიც მუსიკალური ოჯახები მიიღებენ მონაწილეობას.

„მიმღერეს“ გუნდის წევრები არიან ცნობილი მომღერლები ანი კეკუა, ნატო გელაშვილი, აჩიკო ნიჟარაძე, მიშო ჯავახიშვილი, დათუნა სირბილაძე, ოთარ ჯორჯიკია და მათი ოჯახები.

„მიმღერე“ „იმედის“ ეთერში უახლოეს მომავალში გავა.

დეა ადამია: „გადავწყვიტე, შევქმნა პოლიტიკური პარტია“

„ჯეოსტარის“ ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მონაწილემ დეა ადამიამ პოლიტიკური პარტიის შექმნა გადაწყვიტა:

– გადავწყვიტე, შევქმნა პოლიტიკური პარტია, სახალხო მოძრაობა, თუ რაც გინდათ ის დაარქვით, რომელიც არჩევნების გზით მოვა ქვეყნის სათავეში!

დადგა დრო, მორწმუნე და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანები მართავდნენ ჩვენს ქვეყანას.

ხელისუფლებაში უნდა იყვნენ ისინი, ვინც იცის, მიწასთან მუშაობა რა არის, საკუთარი შრომით და ოფლით ვინც ჭამს პურს, ვინც იცის, რა არის ომი და შიმშილი, ვისაც გამოვლილი აქვს ეს გოლგოთა, რომელსაც არასოდეს დაუშვებს საკუთარი ხალხის და ქვეყნის გასანადგურებლად.

მართლმადიდებელი ქრისტიანი თუ მუსლიმი, იუდეველი თუ კრიშნაიდი, ბაპტისტი თუ იეჰოველი და ა.შ., ყველა რელიგიის და ასევე ეროვნების წარმომადგენელი, ვინც, რა თქმა უნდა, დაიბადა და გაიზარდა საქართველოში, უნდა იჯდეს საქართველოს პარლამენტში!

დროა დასრულდეს შოუმენების მასკარადი!

დანარჩენ დეტალს უახლოეს დღეებში გაგაცნობთ.

პ.ს. გინდათ, სამართალი აღზევდეს ქვეყანაში? გინდათ, ოქროს ხანა დაბრუნდეს საქართველოში? გინდათ, ბედნიერი ქართველებით გაივსოს ჩვენი ქვეყანა? ახლა არჩევანი შენზეა!

დათო ტურაშვილი: „ყველაზე სამწუხარო არის ფასი, რომელსაც უკრაინა იხდის ადამიანური მსხვერპლის სახით“

ასე აფასებს მწერალი დათო ტურაშვილი რუსეთ-უკრაინის ომს:

– ნამდვილად ვერ ვიქნები განსაკუთრებული ამ მოვლენების შეფასებისას, რადგან ნებისმიერი კეთილი ადამიანისთვის ცხადია, რომ ამ ბოროტი იმპერიის პირისპირ დარჩენილი უკრაინელი ხალხის ბრძოლა არის არა მხოლოდ მათი დამოუკიდებლობის დაცვა, არამედ მთელი კაცობრიობისთვის იმის შეხსენებაც, რომ თურმე ამ პრაგმატულ და მატერიალისტური საზრუნავით სავსე სამყაროში არსებობს სხვა ღირებულებაც და ის სხვა არის მთავარი და ყველაზე ტკბილი და ძვირფასი – თავისუფლება.

ხშირად მესმის ადამიანებისგან, რომ ისინი არ ელოდნენ ასეთი ღია ომის დაწყებას ოცდამეერთე საუკუნეში, მე კი, სამწუხაროდ, დარწმუნებით ვიცოდი, რომ რუსეთი ისეთივე აგრესორია ახლა, როგორიც იყო ორასი ან ასი წლის წინ და ამ მხრივ რუსეთის იმპერია არ იცვლება.

რამდენიმე თვის წინ მოვისმინე პუტინის ერთი ფრაზა, სადაც ის საქართველოს წარსულზე ლაპარაკობდა ინტერვიუში და ერთ წინადადებაში იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ ისტორიაში მის მრჩეველს ჩემი მასწავლებელი ეთერ ქუთათელაძე სამიანსაც კი არ აღირსებდა. ხოლო თუ პუტინს მართლა ჰგონია, რომ უკრაინა არ არსებობს, სიამოვნებით შევახსენებ ყველას, რომ უკრაინელები უკრაინის დამოუკიდებლობის აღსადგენად მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც კი იბრძოდნენ მთელი თერთმეტი წლის განმავლობაში. მეტიც, რამდენიმე მებრძოლი მხოლოდ 1991 წელს, უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოვიდა უკრაინის ტყეებიდან, სადაც არალეგალურად გაატარეს ათეულობით წელი, მაგრამ არ აღიარეს რუსული ოკუპაცია.

ვინც არ იცის უკრაინის ისტორია და უკრაინელების თავისუფლების მოყვარე ხასიათის თავისებურებები, ალბათ გულწრფელად უკვირს, როგორ უწევენ ამგვარ წინააღმდეგობას უკრაინელები ასეთ სასტიკ დამპყრობლებს, მაგრამ ვინც ერთხელ მაინც ყოფილა დასავლეთ უკრაინაში, დაიჯერებს, რომ ამ ხალხის დამარცხება, სულ რომც ამოწყვიტონ, მაინც შეუძლებელია.

სხვათა შორის, პუტინის უტვინო პოლიტიკის გამო, ანტირუსული განწყობილებები არა მხოლოდ დასავლეთ, არამედ უკვე მთელ უკრაინაშია და მან იმდენი მოახერხა, რომ ახლა მთელი უკრაინა ებრძვის რუსეთის საოკუპაციო ჯარებს დიდიან-პატარიანად. არადა, სულ რამდენიმე წლის წინ კიევშიც კი იშვიათად შეხვდებოდით უკრაინულად მოსაუბრე უკრაინელებს და უკრაინელი მწერლების საკმაოდ დიდი ნაწილიც რუსულად წერდა წიგნებს და არა უკრაინულად, როგორც ახლა.

ყველაზე სამწუხარო არის ფასი, რომელსაც უკრაინა იხდის ადამიანური მსხვერპლის სახით ამ ომში, თორემ, მე რომ მკითხოთ, მათ უკვე გაიმარჯვეს, რადგან იმ ხალხს, ვისაც თავისუფლების გამო ასეთი ბრძოლა შეუძლია, ვერავინ ვერასოდეს დაამარცხებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

17 მარტისათვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი კონტაქტი თქვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება. საღამოს ახლო მეგობართან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. **კურო** – მშვიდი დღეა. სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. გარშემომყოფები თქვენთვის კეთილ სიტყვას არ დაიშურებენ. **ტყუპები** – სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება, ფიზიკური ვარჯიში გარგებთ. ახლობლებს მეტი სინაზით მოეპყარით. **კირჩხიბი** – გრძნობებსა და ქმედებებს შორის ბალანსი აღდგება. უარყოფითი ემოციებისაგან მშვენიერებასთან შეხება გათავისუფლებთ. **ლომი** – გაერთეთ, დაისვენეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ქალწული** – საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად. **სასწორი** – ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **ღრიანკალი** – ბევრ საქმეს ერთად ნუ შეეჭიდებით. ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში წარმატება გელით. იზრდება სასიცოცხლო და სექსუალური პოტენციალი. **თხის რქა** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალზე კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ფრთხილად იყავით საქმიანი ურთიერთობებისას. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ფრანგი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 2. დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა; 3. პატარა სამხედრო ჰოსპიტალი; 4. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 7. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 8. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ძვირფასი ქსოვილი; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 16. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 17. რაიონული ცენტრი იმერეთში; 19. აზრი, ჩანაფიქრი; 20. ესპანელი ფერმწერი.

თარაზულად: 5. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი; 9. ფულის ერთეული პანამაში; 10. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 11. ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო; 13. ძველი ქართული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. საჭმელი სოკო; 18. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 21. ლატვიის ისტორიული სახელწოდება; 21. ნარკოტიკის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი მხიარული განწყობილება; 23. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა